სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ავტორის თანამდროვე საზოგადოების კრიტიკა შარლოტა ბრონტეს რომანში „მასწავლებელი“

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ანგლისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თინათინ ჭეჭელაშვილი

ხელმძღვანელი: ნინო ბაქრაძე

ასოცირებული პროფესორი

გორი

2021

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს შარლოტა ბრონტეს რომანს „მასწავლებელი“, რომელშიც მოცემულია XIX სუკუნის ევროპის ზოგადი სურათი და იმდროინდელი საზოგადოების რეალისტური სახე. ნაშრომში გამოკვეთილია ის პრობლემები, რომელზედაც რომანის ავტორი ამახვილებს ყურადღებას: ადამიანების სოციალური ნიშნით დიფერენციაცია, სნობური მიდგომა ნაციონალიზმის საკითხთან, რელიგიურ ნიადაგზე ადამიანთა მიუღებლობის თემა, გენდერის პრობლემა, ასევე სკოლა იქ გამეფებული არადემოკრატიული რეჟიმითა და სწავლის მოძველებული მეთოდებით.

რომანი „მასწავლებელი“ შესწავლილია კრიტიკული რეალიზმის მსოფლმხედველობასთან მიმართებაში. ამავე კუთხით განხილულია ავტორის შემოქმედებითი გზა. რომანში წამოჭრილ პრობლემებს კი ეთმობა ცალკეული ქვეთავები.

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია შესრულებული სამუშაო და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომის სიახლე: ბრონტეს რომანი „მასწავლებელი“, რომელიც ქართულად ერთი წლის წინ ითარგმნა, ჯერ კიდევ უცნობია მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვის. ნაწარმოები არც ქართულ სამეცნიერო სივრცეშია აქამდე შესწავლილი და გამოკვლეული.

ნაშრომის აქტუალობა: ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემები, როგორიცაა: სოციალური უთანასწორობა, ე.წ. სნობური ნაციონალიზმი, რელიგიური მიუღებლობა, სწავლა-აღზრდის არასრულყოფილი მეთოდები აქტუალურია 21-ე საუკუნეშიც.

ნაშრომის მიზანი: კვლევის მიზანია, ბრონტეს რომანი „მასწავლებელი“ შესწავლილ იქნას რეალიზმის მსოფლმხედველობასა და პრინციპებთან მიმართებაში, მოხდეს ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და გაანალიზება. რის საფუძველზეც უნდა დადგინდეს, როგორია მწერლის დამოკიდებულება მისი თანამედროვე საზოგადოების გაბატონებული სტერეოტიპების, წარმოდგენებისა თუ ტრადიციების მიმართ.

კვლევის მეთოდები: ნაშრომი შესრულებულია კულტურულ-ისტორიული, აღწერითი და ბიოგრაფიული კვლევის მეთოდების გამოყენებით.

სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის მასალები და შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შ. ბრონტეს შემოქმედების შესწავლის მსურველთა მიერ. ისევე, როგორც სკოლის მოსწავლეთა ან

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მხრიდან საშინაო დავალებების, რეფერატების, საკურსო ნაშრომებისა თუ პრეზენტაციების მოსამზადებლდ.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის, 9 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. ნაშრომს ახლავს ანოტაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე. გვერდების საერთო რაოდენობაა 60. გამოყენებული ლიტერატურის სია მოიცავს 13 ერთეულ ბეჭდურ და ინტერნეტრესურსს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

T. Tchetchelashvili

Annotation

The presented work examines Charlotte Bronte's novel "Professor", which gives a general picture of nineteenth-century Europe and a realistic picture of the society of that time. The paper highlights the problems that the author of the novel focuses on: the differentiation of people on social grounds, a snobbish approach to the issue of nationalism, the issue of intolerance of people on religious grounds, the problem of gender, as well as schools with undemocratic regimes and outdated methods of teaching. The novel "The Professor" is examined according to the worldview of critical realism. The author's creative way is discussed from the same angle. Separate subsections are devoted to the problems raised in the novel. The closing summarizes the issues discussed draws the appropriate conclusions.

Description of the work: Bronte's novel "The Professor", which was translated into Georgian a year ago, is still unknown to the general public. The work has not been studied and researched in the Georgian academic sphere so far.

Relevance of the paper: The problems raised in the work, such as: social inequality, so-called snobbish nationalism, religious intolerance, imperfect methods of education are still relevant in the 21st century.

Aim of the paper: The aim of this examination is to study Bronte's novel "The Professor" in relation to the worldview and principles of Realism, to identify and analyze the problems raised in the work. On the basis of which it is necessary to determine the writer's attitude towards the prevailing stereotypes, ideas or traditions of his modern society.

Research Methods: The paper has been written using cultural-historical, descriptive and biographical research methods.

Practical significance of the master thesis: Research materials and results may be used in by those interested in exploring the works of Sh. Bronte. As well as for homework, abstracts, course papers, or presentations by high school or college students.

Master Thesis Structure: Thesis consists of an introduction, two chapters, ?? subsection(s), a conclusion and a list of works cited. The paper is accompanied by annotations in the Georgian and English languages. The total number of pages is ?? . The list of used literature includes ?? Unit of print and internet resources in the Georgian and English languages.

შინაარსი

ანოტაცია **2**

Annotation **4**

შესავალი 6

თავი I. შარლოტა ბრონტე - კრიტიკული რეალიზმის წამომადგენელი 11

1.1. კრიტიკული რეალიზმის მსოფლმხედველობრივი პრინციპები და ესთეტიკა 11

1.2. ბრონტეს შემოქმედებითი ლაბორატორია 13

თავი II ბრონტეს რომანი „მასწავლებელი“ 19

2.1. რომანის შექმნის შესახებ 19

2.2. რომანის მთავარი პრობლემატიკა 21

თავი III ბურჟუაზიული მორალის კრიტიკა რომანში „მასწავლებელი“ 25

3.1. ოჯახი და საზოგადოება 25

3.2. სნობური ნაციონალიზმი 35

3.3. ანტიკათოლიციზმი 41

3.4. გენდერული საკითხი 44

3.5. სკოლა და განათლება 49

დასკვნა 56

გამოყენებული ლიტერატურა 60

შესავალი

შარლოტა ბრონტეს თითქმის 200 წლის წინ შექმნილი რომანები დღესაც დიდი ინტერესითა და პოპულარობით სარგებლობს წიგნის მოყვარულთა შორის მთელ მსოფლიოში. მწერალი იმდენად გულწრფელად და დამაჯერებლად გადმოსცემს საკუთარ შეხედულებებს სიყვარულზე, მეგობრობაზე, საზოგადოების როლზე ადამიანის ცხოვრებაში და მრავალ სხვა საკითხზე, რომ დღესაც აღტაცებას იწვევს მკითხველში. შ. ბრონტეს მხატვრულ ტექსტებში არაჩვეულებრივადაა აღწერილი: გარემო, პერსონაჟები, გრძნობები და ემოციები. სწორედ ამგვარი ტექნიკის წყალობით და ვიქტორიანული ეპოქის სოციალურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილებით შეიძინა მისმა რომანებმა უფრო რეალისტური ხასიათი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მის ნამუშევრებში ხშირად მსგავსი თემები და პრობლემებია განხილული. როგორიც არის: სოციალური, გენდერული, ადამიანური ურთიერთობები, სწავლა-აღზრდის საკითხები და რა თქმა უნდა, სიყვარული. შარლოტას მსუბუქი ენა, თავშესაქცევი სიუჟეტები, რომლებიც დროდადრო სიმძაფრეს იძენს და კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის თხრობას, სასიყვარულო ურთიერთობები, ერთდროულად მოკრძალებულობისა და ვნების პიკანტურ ნაზავს რომ წარმოადგენს, მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს და ერთხელ წაკითხულ წიგნს კიდევ ააღებინებს ხელში.

ექვსი შვილიდან მესამე, შარლოტა დაიბადა 1816 წლის 21 აპრილს ირლანდიელი სასულიერო პირის პატრიკ ბრონტესა ოჯახში, ხუთი წლის ასაკში გარდაეცვალა დედა, ხუთი ქალიშვილი და ერთი ვაჟი კი მხოლოდ მამის ანაბარა დარჩა.

მალევე შარლოტას მამამ მიიღო გადაწყვეტილება, შარლოტა და მისი დები სასულიერო სკოლაში გაეგზავნა, სადაც სამწუხაროდ, არცთუ ისე კარგი გამოცდილება მიიღეს გოგონებმა. სკოლის ცუდი პირობებს შარლოტას

უფროსი დების ჯერ ჯანმრთელობა და შემდეგ სიცოცხლე შეეწირა. ცხოვრების ეს ადრეული გამოცდილება შთაგონება იყო ბრონტეს ყველაზე ცნობილი რომანის „ჯეინ ეარის“ შექმნისას.

ბრონტემ პოეზიის წერა ჯერ კიდევ ცამეტი წლის ასაკში დაიწყო და მთელი ცხოვრება შემოქმედებით საქმიანობას მიუძღვნა. ეს მისთვის ერთგვარი თერაპია იყო, რაც საშუალებას აძლევდა, არსებული რეალობიდან წარმოსახვით სამყაროში გადასულიყო.

სკოლის დამთავრებისა და სამწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ შარლოტა გუვერნანტად მოეწყო მდიდარი ფაბრიკანტის ოჯახში, სადაც დიდხანს არ დარჩენილა არასათანადო მოპყრობის გამო. ხანმოკლე და არცთუ სასიამოვნო ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ თავისი ადგილი კვლავაც მწერლის შემოქმედებაში ჰპოვა.

შარლოტას ცხოვრების შემდეგი ეტაპი ბელგიას უკავშირდება, სადაც დასთან - ემილისთან ერთად მიემგზავრება ბრიუსელის ერთ-ერთ პანსიონში სამუშაოდ, სკოლაში ემილი მუსიკასას ასწავლიდა, ხოლო შარლოტა - ინგლისურს. სამაგიეროდ კი დებს ფრანგულ ენაში ცოდნის გაღრმავება ეწადათ. მიუხედავად იმისა, რომ შარლოტას არც აქ მოუწია დიდხანს დარჩენა, სწორედ ბრიუსელში გატარებული პერიოდი გახდა შემოქმედებითი შთაგონების წყარო. იქ მიღებული შთაბეჭდილებები და გამოცდილება შესანიშნავად გამოიყენა და პირველი რომანის - "მასწავლებლის" - სიუჟეტად გარდაქმნა.

რომანი „მასწავლებელი“ მწერლის პირველი სქელტანიანი ნაწარმოებია. თავდაპირველად გამომცემლებმა ავტორს უკან დაუბრუნეს ხელნაწერი და იგი მოგვიანებით, „ჯეინ ეარის“, რიგით მეორე რომანის, წარმატების შემდეგ გამოქვეყნდა. აღსანიშნავია, რომ მწერლის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მთავარი პრობლემები მის პირველივე რომანში იჩენს

თავს. ისეთი, როგორიც არის: სკოლა და განათლება, ქალთა უფლებები, ნაციონალისტურ და რელიგიური შეუთავსებლობა და სხვ.

შ. ბრონტეს შემოქმედების პოპულარობა შორს გასცდა მისი სამშობლოს საზღვრებს და მრავალ ენაზე ითარგმნა. „ჯეინ ეარი“ ქართულ ენაზე პირველად 1964 წელს დაიბეჭდა და მას შემდეგ კიდევ არაერთი გამოცემა განხორციელდა სრული თუ ადაპტირებული სახით. საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მხოლოდ 2020 წელს ითარგმნა და დაიბეჭდა რომანი „მასწავლებელი“. ახლა ქართველ მკითხველს მწერლის ორი რომანი აქვს ხელთ, თუმცა ძალიან დიდხანს, ბოლო დრომდე, მწერლის შემოქმედებას მხოლოდ „ჯეინ ეარით“ იცნობდა.

სახარბიელოდ არც შ. ბრონტეს კვლევის კუთხით არის საქმე. არ არსებობს ქართულ ენაზე შესრულებული მონოგრაფია ან სადოქტორო ნაშრომი. ხელმისაწვდომია მხოლოდ რამდენიმე მცირე სამეცნიერო და საგაზეთო სტატია. მათ შორის: ა. მორჩილაძის „ჩემი მაგარი გოგოები“ (2008), ლ. ჭითანავას „მწერალი ქალბატონები XIX საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაში“ (2008), მ. ბურჭულაძის „სამი და“ (2011), მ. ლომაშვილის „თავისუფალი ნება „ჯეინ ეარის“ მთავარ პერსონაჟში“ (2012), ზ. გურულის „ყველაზე რომანული რომანი“ (2012). სათაურებისთვის თვალის გადავლებაც კმარა იმის გასაგებად, რომ შარლოტას ცხოვრება და შემოქმედება მხოლოდ ზოგადი თვალთახედვით არის შესწავლილ-გაანალიზებული და კვლავ „ჯეინ ეარს“ ეძლევა უპირატესობა.

არ არსებობს ქართულ ენაზე ინგლისური ლიტერატურის სახელმძღვანელოც კი, სადაც შ. ბრონტეს შემოქმედება მეტ-ნაკლებად სრულყოფილად იქნებოდა წარმოდგენილი, რომელიც მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს, თუნდაც დაინტერესებულ მკითხველს, მწერლის შემოქმედებაზე სათანადო შთაბეჭდილებას შეუქმნიდა.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს ერთგვარ მცდელობას, ხელი შეუწყოს ბრონტეს კვლევის განვითარებას ქართულ ენაზე, ამ საქმეში შეიტანოს თავისი მცირე წვლილი და ინგლისელი მწერალი ქალის პირველი რომანის შესახებ წარმოადგინოს მეცნიერულ კვლევის მეთოდებზე დაყრდნობით შექმნილი ნაშრომი.

ნაშრომის სიახლე: ბრონტეს რომანი „მასწავლებელი“, რომელიც ქართულად პირველად ერთი წლის წინ ითარგმნა, ჯერ კიდევ უცნობია მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვის. ნაწარმოები არც ქართულ სამეცნიერო სივრცეშია აქამდე შესწავლილი და გამოკვლეული, როგორც საზოგადოდ ბრონტეს შემოქმედება. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მოკრძალებულ მცდელობას, შეავსოს სიცარიელე და დაინტერესებულ საზოგადოებას შესთავაზოს კვლევა შ. ბრონტეს რომან „მასწავლებლის“ თემაზე.

ნაშრომის აქტუალობა: ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემები, როგორიცაა: სოციალური უთანასწორობა, ე.წ. სნობური ნაციონალიზმი, რელიგიური მიუღებლობა, სწავლა-აღზრდის არასრულყოფილი მეთოდები აქტუალურია 21-ე საუკუნეშიც.

ნაშრომის მიზანი: კვლევის მიზანია, ბრონტეს რომანი „მასწავლებელი“ შესწავლილ იქნას რეალიზმის მსოფლმხედველობასა და პრინციპებთან მიმართებაში, მოხდეს ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და გაანალიზება. რის საფუძველზეც უნდა დადგინდეს, თუ როგორია მწერლის დამოკიდებულება მისი თანამედროვე საზოგადოების გაბატონებული სტერეოტიპების, წარმოდგენებისა თუ ტრადიციების მიმართ.

კვლევის მეთოდები: ნაშრომი შესრულებულია კულტურულ-ისტორიული, აღწერითი და ბიოგრაფიული კვლევის მეთოდების გამოყენებით.

სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის მასალები და შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შ. ბრონტეს შემოქმედების

შესწავლის მსურველთა მიერ. ისევე, როგორც სკოლის მოსწავლეთა ან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მხრიდან საშინაო დავალებების, რეფერატების, საკურსო ნაშრომებისა თუ პრეზენტაციების მოსამზადებლდ.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, 9 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. ნაშრომს ახლავს ანოტაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე. გვერდების საერთო რაოდენობაა 60. გამოყენებული ლიტერატურის სია მოიცავს 13 ერთეულ ბეჭდურ და ინტერნეტრესურსს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

თავი I.

შარლოტა ბრონტე - კრიტიკული რეალიზმის წამომადგენელი

1.1. კრიტიკული რეალიზმის მსოფლმხედველობრივი პრინციპები და ესთეტიკა

რეალიზმს საინტერესო ისტორია აქვს მსოფლიო ლიტერატურაში. რეალიზმის შესახებ წარმოდგენა იცვლებოდა ხელოვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და ასახავდა შემოქმედთა მისწრაფებას, რეალისტურად გულმართლად გადმოეცა სინამდვილე. ინგლისური კრიტიკული რეალიზმის მწვერვალი XIX საუკუნის 30-40-იან წლებზე მოდის. ამ დროისათვის კრიტიკულ რეალიზმს წამყვანი ადგილი უკავია.

ვიწრო გაგებით ცნება „რეალიზმი“ ასახავს XIX საუკუნის ხელოვნების კონკრეტული ისტორიის მიმართულებას, რომელმაც თავის ძირითად შემოქმედებით პროგრამად გამოაცხადა ცხოვრებისეული სიმართლის ასახვა. ტერმინი პირველად წამოაყენა ფრანგმა ლიტერატურის კრიტიკოსმა შამპფლერიმ XIX საუკუნის 50-იან წლებში. რეალიზმი მსოფლმხედველობრივად ეწინააღმდეგება თავის წინამორბედ მიმართულებას რომანტიზმს. XIX საუკუნის რეალიზმის საფუძვლად იქცა სინამდვილისადმი მკვეთრად კრიტიკული დამოკიდებულება. აქედან გამომდინარეობს სწორედ მისი სახელი - კრიტიკული რეალიზმი. ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა მხატვრულ ნაწარმოებში მწვავე სოციალური პრობლემის დასმა და ასახვა, საზოგადოების მანკიერებებისთვის განაჩენის გამოტანა. კრიტიკული რეალიზმი ორიენტირებული იყო აესახა საზოგადოების დაჩაგრული ფენების ცხოვრება.

კრიტიკული რეალიზმი ახლებურად ასახავს ადამიანისა და გარემომცველი სამყაროს დამოკიდებულებას. გმირის ხასიათის გახსნა ხდება სოციალური

გარემოებების გათავლისწინებით. მწერლები ღრმად აანალიზებენ ადამიანის სულიერ სამყაროს, ცდილობენ ჩაწვდნენ მის სიღრმეებს, ამიტომ ფსიქოლოგიზმი რეალიზმისთვის მეტად დამასახაიათებელი ნიშანია. ამ მხრივ, კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა რომანტიზმმა, რომელიც ცდილობდა ადამიანის ,,მეს" ჩაწვდომოდა. კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლები ღრმად და საფუძვლიანად სწავლობდნენ და მაღალმხატვრულად ასახავენ პერსონაჟთა შინაგან სამყაროს, მათ ოცნებებსა და მისწრაფებებს, მათი ცხოვრების წესს. კრიტიკული რეალიზმი ასახავს ტიპიურ ხასიათებს ტიპიურ გარემოში.

კრიტიკული რეალიზმი სიღრმისეულად შეიმეცნებს სამყაროს და ასე წარმოაჩენს მის მხატვრულ სურათს. თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს კრიტიკულმა რეალიზმმა აბსოლუტური უპირატესობა მოიპოვა ლიტერატურის განვითარების ყველა წინა ეტაპთან შედარებით.

კრიტიკული რეალიზმისთვის დამახასიათებელია ცხოვრების კრიტიკული ასახვა. დღეს ზოგჯერ ,,კრიტიკული რეალიზმის" მაგივრად მიმართავენ ტერმინს „კლასიკური რეალიზმი".

კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლები კრიტიკულად აფასებენ საზოგადოებაში არსებულ უარყოფით მოვლენებს. ისინი ხშირად შიშით შესცქერიან, რომ მათ თვალწინ ქრება ჭეშმარიტი ადამიანური ფასეულებები, კნინდება და ირყვნება ადამიანი. კრიტიკული რეალიზმი არ შემოიფარგლება მხოლოდ მანკიერებათა მხილებით, იგი ნათელი იდეალების ჩვენებით ცდილობს საზოგადოების გაჯანსაღებას, ცხოვრების ნათელი მხარეების წარმოჩენას, გვაჩვენებს გლეხების შრომისმოყვარეობას, პატიოსნებას, მორალურ სიჯანსაღეს და ა.შ.

კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებმა გააფართოვეს ხელოვნების თემატური დიაპაზონი. ისინი სხვადასხვა სოციალური ფენის

წარმომადგენლებს ახასიათებდნენ არა მარტო მორალური თვალსაზრისით, არამედ მათ წარმოაჩენდნენ ყოველდრიურ პრაქტიკულ საქმიანობაშიც.

კრიტიკული რეალიზმი ადამიანს ახასიათებს უნივერსალურად, როგორც კონკრეტულ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ინდივიდს. თეკერეის, დიკენსს, ბალზაკს, ტოლსტოის, ჭავჭავაძესა და სხვა რეალისტ მწერლებს თავიანთი გმირები არამარტო ცხოვრების ამაღლებულ წუთებში ჰყავთ დახატული, არამედ ტრაგიკულ სიტუაციებშიც.

კრიტიკული რეალიზმის აღმავლობის პერიოდში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ეპოსი და დრამა, რომლებმაც სერიოზულად შეავიწროვეს ლირიკა. ეპიკური ჟანრებიდან დიდი აღიარება მოიპოვა რომანმა.

რეალისტი მწერლისთვის დამახასიათებელია მეტყველი, ნათელი, ხატოვანი სალიტერატურო ენა. აღსანიშნავია ისიც, რომ რეალიზმის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, კერძოდ, ცნობილი კულტუროლოგი და ფილოლოგი ვ.რუდნევი თავის მეტად პოპულარულ წიგნში ,,XX საუკუნის კულტურის ენციკლოპედიური ლექსიკონი,“ ილაშქრებს ტერმინ „რეალიზმის“ წინააღმდეგ და ანტიტერმინს უწოდებს მას. მკვლევართა აზრით, მრავალმნიშვნელობა ძალიან ცუდად ახასიათებს ამ ტერმინს და ბევრ გაუგებრობას იწვევს. იგი იმასაც კი ურჩევს მკითხველს რომ არასოდეს განმოიყენონ ეს ტერმინი.

1.2. ბრონტეს შემოქმედებითი ლაბორატორია

ლექსებისა და რომანების წერა შარლოტამ ადრეულ ბავშობაში დაიწყო. მას სამწერლო სარბიელზე ბევრი წარუმატებლობა ხვდა წილად, მაგრამ თავის შემოქმედებით უნარსა და ძალაში დარწმუნებული, ხალასი ნიჭით დაჯილდოებული მწერალი ქალი ამ დროებითმა წარუმატებლობამ სულიერად ვერ გატეხა.

1835 წელს იგი გახდა სკოლის მასწავლებელი, 1839 წელს იგი დაიქირავეს მდიდარი ოჯახის შვილების გუვერნანტად, მაგრამ ეს სამუშაო მისთვის

ტანჯვად გადაიქცა და მან მალე მიატოვა იგი. მას შემდეგ, რაც შარლოტამ გააცნობიერა, რომ მისი ოცნება საკუთარი სკოლის შექმნა იყო, თუმცა ამას მაშინვე მაშინვე ვერ განხორციელებდა. ის ისევ დაბრუნდა მასწავლებლად, ამჯერად უკვე სხვა ოჯახში. მას შემდეგ რაც შარლოტას მეორედ გაუცრუვდა გუვერნანტად მუშაობით იმედი, მან თავისი დების დახმარებით გადაწყვიტა საკუთარი სკოლის გახსნა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრონტესის სკოლის გეგმები ისევ წარუმატებელი აღმოჩნდა, დების ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობას მიეცა გასაქანი. შარლოტამ ენსა და ემილის მშესთავაზა თანამშრომლობა ლექსების კრებულებზე, თუმცა სამივე დის ნამუშევრები უნდა გამოქვეყნებულიყო ფსევდონიმებით: შარლოტა იყო კურერ ბელი, ხოლო ემილი და ენი წერდნენ ელისს და აქტონ ბელის სახელით. როდესაც მათმა ნამუშევრებმა საზოგადოების მცირე ყურადღება მიიპყრო, დებმა გადაწყვიტეს, ცალკეულ რომანებზე ემუშავათ, მაგრამ იგივე ფსევდონიმები შეინარჩუნეს.

შარლოტამ იმავე წელს დაწერა „ჯეინ ეარი“. წიგნი, რომელიც წარმოადგენს ვიქტორიანული ეპოქის კრიტიკას გენდერულ და სოციალურ საკითხებში, იგი გახდა თავისი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რომანი, როგორც კრიტიკული, ისე კომერციული თვალსაზრისით.

შ. ბრონტეს ოთხი რომანი განიხილება, როგორც ინგლისური ლიტერატურის შედევრები. მის მიერ შექმნილი პერსონაჟები არიან ძლიერი, გულწრფელი, ცეცხლოვანი და ჭკვიანი - და მათი ისტორიები დამაჯერებელი, ამაღელვებელი და ღრმად ორიგინალურია. ბრონტემ ასევე გადმოგვცა ბუნების ლამაზი და პოეტური აღწერილობები, თავისი რომანებით შარლოტა ბრონტე მტკიცედ დაუპირისპირდა და გააკრიტიკა 1800-იან წლებში ქალის, ქორწინების, დაბალი სოციალური კლასისა და დასაქმების პრობლემები.

შარლოტას გმირები ეძებენ საკუთარ ადგილს საზოგადოებაში, იბრძვიან საკუთარი ცხოვრების მოსაპოვებლად, ებრძვიან რელიგიურ ფანატიზმს, ზნეობრივ პრინციპებს უსამართლობას.

მისი პირველი რომანი „მასწავლებელი“ ყველა გამომცემლობამ უკან დააბრუნა. ცნობილმა პოეტმა რობერტ საუთიმაც უკანვე გამოუგზავნა ლექსები და წერილში დიდაქტიკური დარიგებაც დაურთო: მწერლობა ქალის საქმე არაა, იგი ქალს ძირითად ოჯახურ მოვალეობას სწყვეტსო, მაგრამ იმ დროისათვის შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე, ნიჭიერი, შეუპოვარი და უტეხი ნებისყოფის შარლოტა ბრონტე უკვე მეორე რომანზე მუშაობდა.

„მასწავლებელს“ საფუძვლად უდევს ბრონტეს გამოცდილება ბრიუსელში, სადაც ის ერთდროულად იყო მოსწავლე და მასწავლებელი კონსტანტინე ჰეგერის გოგონების სკოლაში.

რომან „მასწავლებელს“ მთავარი გმირია უილიამ ქრიმსვორთი, მშრომელი კაცი, რომელიც ხდება პედაგოგი ბრიუსელში, სადაც იგი შეხვდება და იქორწინებს ფრენსის ანრიზე, ინგლის-შვეიცარიელი სტუდენტსა და (მოგვიანებით) მასწავლებელზე. მათი ქორწინება ურთიერთგაგებას და დიდ სიყვარულს ემყარება, ამიტომ ორივე ერთმანეთის სიყვარულითა და დიდი შრომით მიაღწევს საწადელს, ფრენსისი აგრძელებს საყვარელ საქმიანობას. უილიამი მას აძლევს პროფესიული დამოუკიდებლობის საშუალებას, რაც ეხმარება ფრენსისს განვითარდეს, ჩამოყალიბდეს კარგ პროფესიონალად, იზრუნოს კარიერის შექმნაზე, რაც საბოლოოდ, კერძო სკოლის ჩამოყალიბებით დაგვირგვინდება.

ეს არის ის თემა, რასაც ბრონტე ისევ და ისევ უბრუნდება თავის რომანებში, ქალების აქტიური ბრძოლა, უკეთესი ცხოვრებისთვის და სიყვარულის.

„ჯეინ ეარი“ ბრონტეს შემოქმედების ყველაზე გავრცელებული, ნაცნობი და პოპულარული ნაწარმოებია, რომელსაც დღესაც დიდი ინტერესით

კითხულობენ. მასში მწერალმა რელისტურად აღწერა თავისი თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება. მთავარი გმირი მუდმივ კონფლიქტშია საზოგადოებასთან, მიისწრაფის თანასწორუფლებიანობისკენ, რაც თავად მწერლის სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა. ობოლი ჯეინი თავს გარიყულად გრძნობდა მთელი თავისი ბავშვობა, თუმცა ის საკმაოდ ძლიერი და მამაცი გოგონა იყო. ჯეინს დიდი ხნის განმავლობაში ქონდა შინაგანი პროტესტი და კონფლიქტი საკუთარ თავთანაც, მაგრამ მტკიცე და შეუპოვარი ხასიათის გამო შესძლო გადაელახა არაერთი წინააღმდეგობა. ჯეინ ეარის პერსონაჟისთვის დამახასაითებელი იყო სიმამაცე და მიზანდასახულობა. მისი აზროვნება ქალური ლოგიკით არ შემოიფარგლებოდა.

ბრონტეს რომანებში ყოველთვის მკაფიოდ არის გადმოცემული ცალკეული ინდივიდებსა და საზოგადოების პრობლემები თუ თავისებურებები, სწორედ 1840 წელს, როდესაც „ჯეინ ეარი“ გამოქვეყნდა, ვიქტორიანული საზოგადოებისთვის და ყველა სოციალურ კლასისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობის, სტატუსისა და უფლებების არათანაბარი აღქმა - ქალები უფრო დაბალა იდგნენ, ვიდრე კაცები. ქალებს არ ქონდათ ხმი უფლება, საზოგადოებრივად აქტიურობის საშუალება და მათი სამოქმედო არეალი მხოლოდ ოჯახით შემოიფარგლებოდა. ჯეინ ეარის პერსონაჟი კი შეებრძოლა დამკვიდრებულ სტერეოტიპებს.

ეს უფრო მეტია, ვიდრე რომანი. ეს არის როგორც დრამატული, ასევე რომანტიკული ზღაპარი, რომელიც ბრონტეს ნაცნობი ხელწერის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ამავდროულად, ეს არის ამბავი, სადაც მოთხრობილია ქალთა ჩაგვრის და დაკნინების შესახებ.

მე-19 საუკუნეში ქალები განიცდიდნენ სოციალურ უთანასწორობას, ქალებისთვის ძალიან რთული იყო, გამოექვეყნებინათ ნაწარმოები და შეექმნათ მწერლის წარმატებული კარიერა.

„ჯეინ ეარის“ წარმატების შემდეგ შ. ბრონტემ გადაწყვიტა გამოეცხადებინა თავისი ვინაობა და ამით შეძლო ლონდონის მაღალ საზოგადოებაში შესვლა, სადაც მისმა ნამუშევრებმა დადებითი შეფასება დაიმსახურა. ამის შემდეგ დაიბეჭდა მისი მესამე რომანი „ვილეტი“.

,,ვილეტი'' მწერლის მორიგი რომანია, რომელიც 1853 წელს სამ ტომად გამოქვეყნდა. იგი დაწერილია საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, ბრიუსელში. აღნიშნულ რომანში მოქმედი გმირი ახალგაზრდა ქალია, რომლსაც ბევრი განსაცდელი შეხვდა გოგონათა სკოლაში ბელგიაში. ეს რომანი ფსიქოლოგიური რეალიზმის შესანიშნავი მაგალითია, რომელიც გოთურ რომანტიკასთან არის დაკავშირებული.

შ. ბრონტეს ნამუშევრებმა რევოლუცია მოახდინა მისი დროის ლიტერატურაში ქალთა პერსონისადმი მიდგომის თვალსაზრისით. ავტორმა ჯეინ ეარში წარმოაჩინა XIX საუკუნის ქალების რეალობა, რასაც დიდი გამოხმაურება მოყვა და მკითხველის ყურადღება მიიპყრო.

ბრონტე წერს ინდივიდუალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ბრონტეს სიძლიერეა მისი წერის მანერა, ის, თუ როგორ აღწერს და გადმოსცემს გრძნობებს. მისი მთავარი პერსონაჟები ყველა ერთი და იგივე პიროვნებაა და ეს ადამიანი არის თავად შარლოტა ბრონტე.

რაც შეეხება ბრონტეს პოეზიას, როგორც ზოგადად პოეზიაშია გავრცელებული, ბრონტე ხშირად ყურადღებას ამახვილებდა სიკვდილზე. ამას ხელი შეუწყო პირადმა ტრაგედიებმა. ბრონტეების ოჯახის წევრების დიდი უმრავლესობა უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. შარლოტა ბრონტეს საკმაოდ ტრაგიკული ცხოვრება ქონდა. მან დედა ადრე დაკარგა, მოგვიანებით და-ძმების გარდაცვალებამ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას დაღი დაასვა. ყველაფრის მიუხედავად, მან შეძლო და საკუთარი წერის უნარისა და უნიკალური სტილის გამოყენებით ლამაზად გადმოიტანა თავისი იდეები ლიტერატურულ ნამუშევრებში. სიკვდილის მოტივის

ხშირი დამუშავება წარმოაჩენს ლექსების ავტორის დეპრესიულ ხასიათს. მას აქვს სიკვდილის შიში, თუმცა ხედავს მის გარდაუვალობას.

ძალიან ცოტაა სასიხარულო თემები და მოტივები ბრონტეს პოეზიაში. უფრო ხშირად იგი წერს საკუთარი ან სხვისი ტკივილის შესახებ, იმ ვითარებასა და გარემოებაზე, რომელიც მწერალს აწუხებს და მოსვენებას უკარგავს. საერთოდ კი, მწუხარებას იგი მისი ცხოვრების აუცილებელ ელემენტად მიიჩნევს.

საინტერესო ფაქტია, რომ მრავალი წლის შემდეგ სრულიად მოულოდნელად მიაკვლიეს შარლოტა ბრონტეს გამოუქვეყნებელ ხელნაწერებს, რომლებიც მის დედას - მარია ბრონტეს ეკუთვნოდა. ეს იყო ლექსები და მოთხრობები, რომელიც მან მოზარდობის ასაკში შექმნა. მოგვიანებით, დოქტორმა ბარკერმა, რომელმაც დაწერა ბრონტეების ცხოვრების ისტორია, განაცხადა, რომ იგი გაოგნებული იყო ამ აღმოჩენით, რადგან ეს მასალები სრულიად შეუფასებელი ინფორმაციას შეიცავდა ბრონტეების ოჯახის წევრების შესახებაც, გარდა ოჯახური ჩანახატების, ლექსებისა და მოთხრობებისა.

თავი II

ბრონტეს რომანი „მასწავლებელი“

2.1. რომანის შექმნის შესახებ

1842 წლის თებერვალში შარლოტა და ემილი, მამის თანხლებით, ჰავორტიდან გაემგზავრნენ ბელგიისკენ. მეორე დღეს ისინი პანსიონატ „ჰეგერში“ მივიდნენ. შარლოტამ არ იცოდა, რამდენად სასიკეთო იყო მისთვის ამ ადგილას ჩასვლა, ან რას უქადიდა მის მომავალს ახალი საცხოვრებელი. პანსიონატი ორმოცი წლის წინათ იყო აშენებული. იგი უბრალო თეთრი ორსართულიანი, გრძელი და დაბალი შენობა იყო, თითოეულ სართულზე უზარმაზარი ფანჯრებით.

მიუხედავად იმისა, რომ თავად სკოლის შენობა არც ისეთი არაჩვეულებრივი იყო, ვიდრე სამეზობლოში არსებული სხვა სკოლები, სახლის უკან იყო მშვენიერი დიდი ბაღი, რომელის ნამდვილი საგანძურის წარმოადგენდა სკოლისთვის. ეს ბაღი შარლოტას თავშესაფარი იყო დამღლელი დღის და ქაოტური ქალაქისგან თავდასაღწევად.

იმ ქუჩას, სადაც სკოლა მდებარეობდა, გვერდს უმშვენებდა ფერდობზე გაშლილი არისტოკრატიული ფართო უბანი, ულამაზესი პარკი და ბელგიის მონარქის, მეფე ლეოპოლდ I-ის დიდის სასახლე. ქალაქის ცენტრი გადატვირთული და ქაოსური იყო, სადაც ვიწრო ქუჩები და სიბინძურე მეფობდა.

კონსტანტინე ჰეგერმა და მისმა მეუღლემ, რომლების სკოლის მეპატრონეები იყვნენ, შარლოტასა და ემილის ნიჭიერება მალევე შენიშნეს და წერის საშუალებაც მისცეს. სწორედ ამ პასნიონატში შეუყვარდა შარლოტას კოლეგა მასწავლებელი.

აღშნული სკოლა და ბელგია გახდა, შარლოტა ბრონტეს რომანების ინსპირაციის წყარო. მან რამდენიმე წლის შემდეგ თავისი პირად

გამოცდილებაზე დაყრდნობით შექმნა, რომანები „ვილეტი“ და „მასწავლებელი“.

„მასწავლებელი“ შარლოტა ბრონტეს პირველი რომანია, რომლის გამოცემა კარგა ხანს ვერ მოხერხდა, რადგან გამომცემლებმა იგი დაიწუნეს. რომანი გამოიცა მწერლის გარდაცვალების შემდეგ. რომანი პირველად 1857 წელს დაიბეჭდა და მასში უკვე კარგად ჩანს მე-19 საუკუნის პოპულარული რომანის ,,ჯეინ ეარის“ ავტორის ნიჭიერება. შარლოტა ბრონტეს ამ რომანის დაწერის იდეა ბრიუსელში ყოფნისას დაებადა, სადაც უცხო ენებს სწავლობდა.

1842 წელს შარლოტა ბრონტე თავის დასთან, ემილისთან ერთად გაემგზავრა ბრიუსელში, ფრანგული ენის უკეთ შესასწავლად, რაც სამომავლოდ მას ინგლისში საკუთარი სკოლის გახსნაში დაეხმარებოდა.

გოგონები შევიდნენ სკოლაში, სადაც ისინი იღებდნენ სტიპენდიას, დანარჩენი სტუდენტებისათვის ინგლისურისა და მუსიკის სწავლების სანაცვლოდ. ბრიუსელში მიღებული გამოცდილება ბრონტემ შესანიშნავად გამოიყენა ნაწარმოების წერისას.

ბრონტეს რომანი „მასწავლებელი“ კარგად აჩვენებს თავად ავტორის სულიერ მდგომარეობას, შეხედულებებს და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სქესისა და როლების შეცვლით.

წიგნი მოგვითხრობს ახალგაზრდა მამაკაცის, უილიამ ქრიმსვორთის ამბავს. იმას, თუ როგორ ცდილობს იგი ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პოვნას, პრინციპულ მამაკაცად ჩამოყალიბებას და საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვას. მიუხედავად გარკვეული ფინანსური სირთულეებისა, ახალგაზრდა მამაკაცისთვის სულიერი სიმდიდრე უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მატერიალური, რაც მის პიროვნებას უფრო მიმზიდველს ხდიდა.

2.2. რომანის მთავარი პრობლემატიკა

რომანში ვეცნობით პერსონაჟის რეალურ ცხოვრებას, ადამიანებთან თუ ცხოვრებისეულ სირთულეებთან რეალურ დაპირისპირებასა და რეალისტურ მუდმივობას. მასში ასახული მოვლენები ისეთივე ჩვეულებრივია, როგორც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება.

შ. ბრონტე რომანში შესანიშნავად აღწერს მარტოობას და იმ უიმედობას, რომელსაც ადამიანი გრძნობს უცხო ქვეყანაში ფულისა და მეგობრის გარეშე. მთავარი გმირის ცხოვრებაში ბევრი პრობლემა იჩენს თავს, თუმცა ურყევი ხასიათისა და მოთმინების მეშვეობით, იგი ყველაფერს დაძლევს. შარლოტა ბრონტე აღნიშნულ რომანში საკმაოდ კრიტიკულად აღწერს მის მთავარ გმირსაც.

უილიამი ვიზუალურად არ არის ისეთი სიმპატიური პერსონაჟი, როგორც შესძლოა ყოფილიყო, სწორედ ეს უსვამს ხაზს იმას, რომ შარლოტა ბრონტეს უნდოდა თავისი თხრობის საშუალებით გამოხატა საკუთარი შეხედულებები და ცრურწმენები ადამიანების გარეგნულ და სულიერ სილამაზეზე. საბოლოოდ კი ავტორი გვაჩვენებს უსახლკარო, ცარიელი და წარუმატებელი ადამიანის ცხოვრებას, თუ როგორ გადაიქცევა იგი საკმაოდ შეძლებულ წარმატებულ და პატივსაცემ მამაკაცად.

პატარა ასაკში დაობლებული უილიამ ქრიმსვორთის ბედი წლების განმავლობაში არისტოკრატ ბიძებზე იყო დამოკიდებული, რომელებსაც სურდათ უილიამის თავის ჭკუაზე გაეზარდათ. სასოწარკვეთილი უილიამი ცდილობდა თავი დაეხსნა ბიძების მეურვეობისგან და მოულოდნელად გადაწყვიტა, გაჰყოლოდა მამის კვალს და გამხდარიყო ვაჭარი. მან დახმარების თხოვნით მიმართა უფროს ძმას, ედვარდ ქრიმსვორთს, რომელიც უკვე წარმატებული ვაჭარი და ოჯახის უფროსი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მისტერ ქრიმსვორთს და მის ძმას - უილიამს შორის არ არსებობდა სიყვარული და პატივისცემა, ის მაინც დაეხმარა პატარა ძმას და მოხელის თანამდებობაზე დანიშნა. იმის მიუხედავად, რომ უილიამი

ძალიან კარგად ასრულებდა დაკისრებულ საქმეს, ძმის კეთილგანწყობა მაინც ვერ დაიმსახურა. ედუარდმა კარგად დაინახა მისი პოტენციალი და შიშიც კი გაუჩნდა, რომ უმცროსი ძმა მასზე აღმატებული იყო. იგრძნო რა კონკურენციის საფრთხე, მაქსიმალურად შეეცადა, უილიამის სამუშაო პირობები გაუსაძლისი გაეხადა, რათა თავისი ფეხით წასულიყო სამსახურიდან. არც უილიამი იყო სამსახურითა და ძმასთან ურთიერთობით კმაყოფილი და ბედნიერი, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა ძმების თანამოსაქმე მისტერ ჰანდსენს. მანაც გადაწყვიტა დახმარებოდა უილიამს სწორედ იმ დროს, როდესაც ედუარდმა საკუთარი ძმა სამსახურისა და შემოსავლის გარეშე დატოვა.

უმუშევარი უილიამი დათანხმდა მეგობრის შემოთავაზებას და ბატონი ჰანდსენის რეკომენდაციით ხელში, სამუშაოს საძებნელად ბელგიაში გაემგზავრა, სადაც მისტერ ქრიმსვორთი ვაჟთა სკოლაში ინგლისურის მასწავლებლად მოეწყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი ფლამინდიელ სტუდენტებს გაუნათლებლად თვლიდა, მას სიამოვნებას ანიჭებდა პედაგოგის საქმიანობა და ცდილობდა მაქსიმუმი გაეკეთებინა თავისი მოსწავლეებისათვის. მის ძალისხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია და როგორც კარგმა პედაგოგმა, მალე ახალი სამსახურის შემოთავაზებაც მიიღო გოგონათა პანსიონატის დირექტრისას მხრიდან. უილიამი მოსწავლეებითა და მათი ინტელექტუალური შესაძლებლობებით იმედგაცრუებული დარჩა, როდესაც აღმოაჩინა, რომ გოგონების უმეტესობა ისევე ვულგარული და არაინტელექტუალურია, როგორც ბიჭები.

გარკვეული დროის შემდეგ უილიამს ნაზი გრძნობები გაუჩნდა გოგონათა პასნიონატის დირექტრისას მიმართ, თუმცა ეს გრძნობა მალევე გაქრა, მას შემდეგ რაც ქალბატონმა თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა. უილიამმა დაკარგა ნდობა მისის რიუტეს მიმართ. მოგვიანებით კი ყურადღება გადაიტანა ახალ სტუდენტ ფრენსის ანრიზე, რომელიც იმავდროულად მასწავლებელიც იყო და გოგონებს მაქმანების კერვას ასწავლიდა. უილიამი

უფრო მეტად დაინტერესდა ახალი მოსწავლით, როდესაც აღმოაჩინა, რომ მას საკმაოდ კარგი ინგლისური აქცენტი ქონდა. უილიამი მის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა და მალე მიხვდა, რომ მისით ძალზედ გატაცებული იყო.

ეჭვიანობის ნიადაგზე მისის რიუტეს მიერ სამსახურიდან გათავისუფებული ფრენსის ანრის კვალს კარგახანს ვეღარ მიაგნო უილიამმა. იგი სასოწარკვეთილი ეძებდა საყვარელ ქალს და ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, როდესაც იმედი თითქმის გადაეწურა, შემთხვევით იპოვა. უილიამმა თავადაც დატოვა სამსახური, როცა ქალბატონი რიუტე ვაჟთა სკოლის დირექტორს გაჰყვა ცოლად. უსახსროდ დარჩენილი ახალი სამსახურის პოვნას ლამობდა, სხვაგვარად ფრენსის ანრიზე ვერ იქორწინებდა. კვლავ მისტერ ჰანდსენმა გაუწოდა დახმარების ხელი. ახალ სამსახურში ანაზღაურებაც კარგი ქონდა და კარგ ადამაინებთანაც უწევდა მუშაობა. ახლა უკვე ფინანსურად უზრუნველყოფილმა უილიამმა ხელი სთხოვა საყვარელ ქალს და თანხმობაც მიიღო.

მოგვიანებით ცოლ-ქმარმა საკუთარი სკოლა გახსნა, სადაც ყველანაირი პირობა იყო შექმნილი იმისთვის, რომ მოსწავლეებს სრულყოფილი განათლება მიეღოთ. რამდენიმე წლის შემდეგ ისინი ინგლისში გადავიდნენ საცხოვრებლად, სადაც ბედნიერად ცხოვრობენ ვაჟთან - ვიქტორთან - ერთად.

ეს არის ბრონტეს „მასწავლებლის“ ფაბულა. ავტორი ერთი ჩვეულებრივი ინგლისელი მამაკაცის ამბავს გვიამბობს, თუმცა მისი წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრების მიღმა გვიჩვენებს ინგლისური თუ ზოგადევროპული საზოგადოების რეალურ სურათებს. სადაც სუფევს ანგარება, სნობიზმი, გაუტანლობა, სოციალური უთანასწორობა და მრავალი სხვა ნაკლოვანება, თუმცა წრფელი სიყვარული და უანგარო მეგობრობა მთავარ გმირს ყველა წინააღმდეგობას დააძლევინებს.

რომანში წარმოჩენილი უამრავი პრობლემიდან უმთავრესია ადამიანების სოციალური ნიშნით დიფერენციაცია, სნობური მიდგომა ნაციონალიზმის საკითხთან, რელიგიურ ნიადაგზე ადამიანთა მიუღებლობის თემა, გენდერის პრობლემა, ასევე სკოლა და იქ გამეფებული არადემოკრატიული რეჟიმი, სწავლის მოძველებული მეთოდები. ეს ის პრობლემებია, რომლებიც ბრონტეს მხატვრულ ტილოზე დიდი ოსტატობით გამოაქვს და ამგვარად ცდილობს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას. ზემოთ აღნიშნული საკითხების სააშკარაოზე გამოტანით ბრონტემ ნამდვილად მოახერხა საზოგადოების ყურადღების მიპყრობა, მისი რომანის გმირები საუკუნეების განმავლობაში არ კარგავენ პოპულარობას და დღესდღეობითაც ინარჩუნებენ აქტუალობას.

თავი III

ბურჟუაზიული მორალის კრიტიკა რომანში „მასწავლებელი“

3.1. ოჯახი და საზოგადოება

ინგლისურ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმი განვითარების პიკს 19 საუკუნის 30-40-იან წლებში აღწევს. ამ ხანაში მოღვაწეობას იწყებენ დიკენსი, გასკელი, ბრონტე, თეკერეი და სხვა მწერლები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს არამარტო ინგლისის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაშიც.

„თანამედროვე ინგლისელ მწერალთა ბრწყინვალე პლეადამ, - რომელთა გამომეტყველებამ და მჭერმეტყველმა ფურცლებმა მთელ ქვეყნიერებას ამცნეს დიდი პოლიტიკური და სოციალური ჭეშმარიტებანი, ვიდრე ეს გააკეთეს ერთად აღებულმა ყველა პროფესიონალმა პოლიტიკოსმა, პუბლიცისტმა და მორალისტმა, - გამოხატა ბურჟუაზიის ყველა ფენა, დაწყებული ,,დიდად პატივცემული“ რონტიედან და ფასიანი ქაღალდების მფლობელეთაგან ყოველგვარ საქმიანობას ვულგარლად რომ თვლიან - და გათავებული წვრილფეხა მედუქნითა და ვექილის კანტორაში მომუშავე კლერკით. და მერე როგორ გამოიხსნეს ისინი დიკენსმა, თეკერეიმ, მისს ბრონტემ და მისის გასკელმა? როგორც აღსავსენი თავის თავზე დიდი წარმოდგენით, გაპრანჭულობით, ზიზილპიპილოებით, წვრილმანი ტირანულობით და უმეცრებით. ცივილიზებულმა სამყარომ მიიღო ეს განაჩენი და ამ კლასს გამანადგურებელი ეპიგრამა მიაკერა: ,,იგი ქედმოდრეკილია მაღლა მდგომთა მიმართ და დესპოტურია დაბლა მდგომთა მიმართ“ (ელიზაროვა 1973: 496-497)

ჩარლზ დიკენსი იყო ინგლისელი მწერალი და სოციალური კრიტიკოსი, რომელიც ითვლება ვიქტორიანული პერიოდის უდიდეს რომანისტად. მისი სიცოცხლის განმავლობაში დიკენსის ნამუშევრები არნახული

პოპულარობით სარგებლობდა და მეოცე საუკუნისთვის მისი ლიტერატურული გენია სრულად აღიარეს კრიტიკოსებმა და მეცნიერებმა.

ლიტერატურის ისტორიკოსები დიკენსის შემოქმედებას ერთობ მაღალ შეფასებას აძლევენ, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მე-19 საუკუნის ინგლისური მწერლობა. დიკენსი მთელი თავისი შემოქმედების განმავლობაში ცდილობდა გაეშუაქებინა ღრმა წინააღმდეგობანი სირარიბესა და სიმდიდრეს შორის, მისთვის აუტანელი იყო სოციალური უთანასწორობის მომენტები ცხოვრებაში, მისთვის უბრალიებაში იყო ყველაფერი ფასეული.

მწერლის დაინტერესება სოციალური საკითხებით მისმა ბიოგრაფიამ განაპირობა. დიკენსის ოჯახს ყოველთვის ქონდა მატერიალური პრობლემები, რის გამოც ახალგაზრდა დიკენსს პატარა ასაკიდანვე მოუწია მუშაობა და თავის რჩენა. ალბათ სწორედ მისი ცხოვრებსეული გამოცდილებიდან გამომდინარე მან ერთ-ერთმა პირველმა დაგვანახა ბურჟუაზიული საზოგადოების ის მანკიერი მხარეები, რაც უამრავი ადამიანის ბედზე მძიმედ აისახა.

როგორც ინგლისში, ისევე სხვა ქვეყნებში საზოგადოებას იზიდავდა დიკენსის რომანებში გამოხატული მიდგომები სიყვარულის, რწმენის და მშრომელი ადამიანების მიმართ, რომელიც ნათლად გადმოგვცემს ავტორის დამოკიდებულებას და მის შინაგან პათოსს, მის ფასეულობებსა და ზნეობრივ ნორმებს.

დიკენსის ნაწარმოებებში კარგად ჩანს ავტორის ნიჭი, ჩანს ის, თუ როგორ ინტერესით გამოირჩევა იგი სოციალური პრობლემების მიმართ. მისი სურვილია დაგვანახოს ხალხის რეალური ცხოვრება, იგი მოგვითხრობს ღარიბთა შესახებ, მათ ცხოვრებისეულ სიდუხჭირესა და ბედუკუღმართ მდგომარეობაზე.

ავტორის უამრავი ნაწარმოებიდან შეგვიძლია გამოვყოთ, რამდენიმე მათგანი იმის სადემონსტრაციოდ, თუ რაოდენ ოსტატურად გადმოგვცემს იგი თავის სათქმელს მხატვრული ხერხების საშუალებით.

რომანს „მძიმე დრონი“ უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია დიკენსის შემოქმედებაში. აღნიშნულ ნაწარმოებში, მწერალი ყველაზე მეტად ცდილობს გამოავლინოს და ამხილოს ბურჟუაზიული საზოგადების მანკიერი მხარეები. რომანში დიკენსი აღგვიწერს ინდუსტრიულ ქალაქს და გვიჩვენებს იქ მცხოვრები ადამიანების ერთფეროვან ყოფას, რომანში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს კაპიტალიზმი ადამაინების არა მარტო ცხოვრებაზე, არამედ გონებაზე, ხასიათსა და ბედ-იღბალზე.

იმდროინდელი ინგლისის ცხოვრების ფართო და მრავალფეროვანი სურათია მოცემული რომანში „ნიკოლას ნიკლბის ცხოვრება და თავგადასავალი“. რომანის გმირია ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ ცდილობს საკუთარი ძალებით გაიკვლიოს ცხოვრების გზა. ნიკოლასისა და მისი მდიდარი, მაგრამ სასტიკი და ძალიან ძუნწი ბიძის სახით რომანში წარმოდგენილია ღარიბი და მდიდარი ინგლისი. ამ ორი ადამიანის ცხოვრებისეული ბრძოლა ნიკოლასის გამარჯვებით მთავრდება, თუმცა მას უწევს არჩევანის გაკეთება: ან უარი უნდა თქვას პატიოსან ცხოვრებაზე და კარიერისა და სიმდიდრისთვის არასწორი ხერხებით იბრძოლოს, ან აირჩიოს უფრო მძიმე გზა, სადაც მოუწევს სიღარიბესა და შრომაში ცხოვრება. იგი უარს ამბობს ბინძური გზებით ფულის შოვნაზე და ცხოვრებას განაგრძობს პატიოსანი გზით.

დიკენსის რომანი "ოლივერ ტვისტი" ასახავს ლონდონის გაღატაკებული მოქალაქეების ცხოვრების სინამდვილეს და ამხელს წარმოდგენას იმის შესახებ, რომ მშრომელთა თავშესაფარში ბავშვები უზრუნველად ცხოვრობდნენ. დიკენსი აკრიტიკებს ბირჟუაზიულ მძიმე რეალობას, სასტიკ

სამყაროს, სადაც ბავშვები ან ულმობელი ცემისგან და შიმშილისგან იღუპებოდნენ ან დაშინებულ პატარა არსებებად გადაიქცეოდნენ.

ხსენებული ნაწარმოებების მსგავსად, დიკენსის რომანებში ფართოდ არის გაშლილი საკითხები, როგორიცაა სიკეთე, ბოროტება, ფულის ხიბლი და მიზიდულობის ძალა, ადამიანთა სისასტიკე, იქვე უანგარო სიყვარული, მეგობრობა და სხვა. დიკენსის გმირები გადიან ცხოვრების მკაცრ სკოლას, თუმცა მათი კეთილი გული და ოპტიმიზმი მკითხველს აღაფრთოვანებს და იმედით ავსებს. დიკენსის ნაწარმოებების სიუჟეტის მორალი არასოდეს არის მძიმე და დამთრგუნველი, თავისი რომანებში იგი ყოველთვის კორექტულად გადმოგვცემს სათქმელს, რისთვისაც იგი გახდა ცნობილი და ყველასათვის საყვარელი მწერალი.

დიკენსის თანამედროვე უილიამ მეიქპის თეკერეი მე-19 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ინგლისელი რეალისტი მწერალი იყო. განსხვავებით დიკენსისგან თეკერეის ოჯახური მდგომარეობა ყოველთვის კარგი ქინდა, მიუხედავად მამის ადრე გარდაცვალებისა, მან მოახერხა და კარგი განათლება მიიღო იმ მემკვიდრეობის საშუალებით, რაც მას მამისგან დარჩა, თუმცა ცხოვრებისეულმა სიურპრიზებმა მაინც იჩინა თავი და იგი მოულოდნელად გაკოტრდა. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა თვის რჩენისთვის რაიმე გზისთვის მიემართა და თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა ჟურნალისტობით დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ თეკერეი თავად ეკუთვნოდა ბურჟუაზიას, მუდამ ილაშქრებდა და აკრიტიკებდა იმ საზოგადოებას.

მას პაროდიების საოცარი ნიჭი ქონდა და ამ ნიჭის საშუალებით დასცინოდა იმ მწერლებს, რომლებიც სიმართლისგან დაშორებულ ნაწარმომებებს ქმნიდნენ.

თეკერეის შემოქმედება სავსეა ბურჟუაზიული ძალების მამხილებელი რომანებით, მაგალითად ისეთები როგორიცაა „სნობების წიგნი“, „ამაოების ბაზარი“ და სხვ.

„ამაოების ბაზარი“ უილიამ თეკერეის ყველაზე ცნობილი რომანია, რომელიც პირველად XIX საუკუნეში გამოიცა. იგი თეკერეის ნაწარმოებებიდან ყველაზე პოპულარული ნაწარმოებია, სადაც მიდის სოციალური კლასის ჭიდილი, სწრაფვა ფულისკენ და ბრძოლა ძალაუფლებისთვის. წიგნის მთავარი არსი, იმდროინდელი ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების წარმოჩენაა, რასაც ავტორი, სამი ოჯახის (ჯონ სედლის, ჯონ ოსბორნისა და სერ პიტ კროულის ოჯახების) ცხოვრების ისტორიის წარმოჩენით ცდილობს.

„სნობების წიგნი“ თეკერეის კიდევ ერთი მამხილებელი რომანია ბურჟუაზიული საზოგადოების და მათი შეხედულებების შესახებ. სწორედ ამ რომანის გამოჩენის შემდეგ ინგლისში ფართოდ გავრცელდა სიტყვა ,,სნობი,,-ის გამოყენება. სნობი არის ადამინი, რომელიც ზემოდან უყურებს თავისზე დაბლა მყოფ ადამიანს, თუმცა სიტყვა სნობის ცნება ბევრად ფართოა და არსებითად შეიცავს ბურჟუაზიულლი საზოგადოების მანკიერებების მრავალ ასპექტს.

თეკერეიმ შენიშნა ის ძირითადი მაკავშირებელი ძალა, რაც არსებობდა ბურჟუაზიული საზოგადოების იმდროინდელ ადამიანებს შორის. ეს კავშირი დამყარებული იყო უსულგულო ურთიერთობებზე ფულზე და მის მაგიურ ძალაზე. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ფულია ყველაფრის საფუძველი, ამოსავალი და დასაყრდები. ის განსაზღვრავს ადამიანებს შორის ურთიერთობებს, როგორც ფართო საზოგადოებაში ისე ოჯახებში. ფულით შესაძლოა ყველაფრის ჩანაცვლება, მაგალითად ჭკუის, სილამაზის, კეთილშობილების და მრავალი სხვა. თეკერეის რომანებსი ბურჟუაზილული საზოგადოება წარმოდგენილია, როგორც უზარმაზარი ბაზრობა, სადაც ყველაფერი შეიძლება იყიდო და გაყიდო ფულის

საშუალებით. თეკერეის დიდი დამსახურებაა, რომ გვიჩვენა ფულის ძალაუფლება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ისე როგორც დამახასაითებელი ყოველდრიური ბურჟუაზიული სინამდვილისათვის.

როცა ბრონტე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, დიკენსი უკვე ცნობილი და სახელმოხვეჭილი მწერალი იყო, თუმცა ჯერ არ დაეწერა „დევიდ კოპერფილდი“ (1850), ხოლო თეკერეი დიდ ლიტერატურაში ძალების მოსასინაჯად ემზადებოდა, თუცა ის უკვე ცნობილი იყო როგორც ჟურნალისტი და კარიკატურისტი. ბრონტემ ლიტერატურული საქმიაობა მე-19 საუკუნის 20-იანი წლების მიწურუსლს საკმაოდ აქტიურად დაიწყო. ქმნიდა მცირე ფორმატის ტექსტებს: ლექსებსა და მოთხრობებს, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის რომანებით გახდა ცნობილი.

თანამოკალმეების მსგავსად, ბრონტემაც საკუთარ შემოქმედებაში ადამიანების ზნეობრივ აღზრდასა და სოციალურ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება. რეალიზმის პრინციპები ამას კიდეც ავალდებულებდა. იგი ინტერესით ეცნობოდა კოლეგების შემოქმედებას, ითვალისწინებდა მათ გამოცდილებას და ხვეწდა საკუთარ მწერლურ უნარებს. ცნობილია ბრონტეს თბილი დამოკიდებულება თეკერეის მიმართ. მისი შემოქმედებით მოხიბლულმა ბრონტემ „ჯეინ ეარის“ მეორე გამოცემა მიუძღვნა.

რომანშიც „მასწავლებელი“ ბრონტე ნათლად გვაჩვენებს ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერ მხარეებს, რაც მისთვის, როგორც მწერლისთვის, მეტად გულსატკენ და საგულისხმო რეალობას წამოადგენდა.

ჩვენთვის ცნობილი ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია. მონათმფლობელი და მონა, ბატონი და ყმა, ოსტატი და ქარგალი და ა.შ. – მჩაგვრელი და ჩაგრული - მუდმივ ანტაგონიზმში იყვნენ ერთმანეთთან, ისინი ხან მალულად, ხან ხილულად, თუმცა მაინც ეწეოდნენ კლასთა შორის ბრძოლას. გასულ საუკუნეში თითქმის ყველგან არსებობდა საზოგადოების სრული დანაწილება სხვადასხვა წოდებად.

ძველი რომის საზოგადოებას შეადგენდნენ: პატრიციები, მხედრები, პლებეები და მონები; შუა საუკუნეები ფეოდალების, ვასალების, ამქრის ოსტატების, ხელოსნებისა და ყმების ისტორიაა. სადაც კი ბურჟუაზიული საზოგადოება ჩამოყალიბდა, მან ყველგან დაანგრია კლასთა შორის ურთიერთობანი. ბურჟუაზიის ეპოქა იმით განსხვავდება, რომ მან გაამარტივა კლასობრივი წინააღმდეგობანი და ადამიანური ურთიერთობები უფრო მარტივი გახადა.

ბურჟუაზიის ხელი ყველა სფეროს შეეხო. პატივისცემისა და ღირსების შარავანდედნი მოაშორა იმ ადამიანებს, რომელთაც უწინ მოწიწების გრძნობით უცქერდნენ. ექიმი, იურისტი, მღვდელი, პოეტი თუ მეცნიერი ახალმა დროებამ დაქირავებულ მოხელეებად გადააქცია.

ბურჟუაზიული საზოგადოების ეს თავისებურებანი რეალისტურად აისახა ბრონტეს შემოქმედებაში. ცხადად წარმოჩნდა, თუ როგორი დამოკიდებულება ქონდა ბურჟუაზიას დაბალ სოციალურ ფენასთან, რა ფასეულობები და შეხედულებები ქონდა მას ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში. ფული და ძალაუფლება ბურჟუაზიული საზოგადოების ყველაზე მთავარი მახასიათებელი იყო, რაც განაგებდა ადამიანების გულსა და გონებას. ფული და მდგომარეობა ნათესაურ, დედამამიშვილურ ურთიერთობებსაც კი ცვლიდა და ყველაზე ხელშეუხებელს, ამაღლებულსა და წმინდას ტალახში სვრიდა.

რომანში ,,მასწავლებელი'' ბრონტე გვაჩვენებს მთავარი გმირის ცხოვრებას, რომელიც არც თუ ისე მარტივი იყო, მას არ ქონია არც ოჯახური იდილია და არც საზოგადოების კეთილგანწყობა, უფროსი ძმის ცივი და მტრული დამოკიდებულება უილიამისთვის კიდევ ერთი დარტყმა იყო, რომელიც საბოლოოდ უარს ათქმევინებდა ოჯახის რომელიმე წევრთან ურთიერთობაზე, რაც ნამდვილად ასე მოხდა (იგულისხმება დედის ძმები).

უილიამის და უფროსი ძმის შეხვედრის შემდეგ, უფროსმა ძმამ იგრძნო, რომ უილიამი გონებითა და შესაძლებლობებით მას აღემატებოდა, იგი ხედავდა უილიამის პოტენციალს, მის შესაძლებლობებსა და ნიჭს, რაც ძალიან არ მოწონდა, შემდეგში ეს კი მის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას უფრო აღვივებდა.

უილიამი თავიდან იმედებით აღსავსე ჩავიდა დაბა ქ-ში, ძმასათან შეხვედრამ მას ახალი იმედები ჩაუსახა, თუმცა იმასაც გრძნობდა, რომ ეს მოლოდინი შეიძლება არ გამართლებულიყო და მას ცხოვრების გაგრძელება სრულიად მარტოს და უიმედოს მოხდენოდა. უილიამისთვის უცხო არ იყო ნათესავებისგან ცივი დამოკიდებულება, მისი ბიძებიც არ გამოირჩეოდნენ მისდამი კეთილგანწყობით, თუმცა ედვარდი მაინც ძმა იყო და მოლოდინიც ალბათ უფრო მეტი ქონდა.

წლების უნახავი ძმების შეხვედრა ისეთივე ცივი აღმოჩნდა, როგორც ოქტომბრის ის ცივი და წვიმაინი დილა, როდესაც უილიამი შირში ჩავიდა. მიუხედავად ყველაფრისა, ედუარდმა სამსახური დააწყებინა ძმას, თუმცა ეს არ გავდა ძმების ურთიერთობას, უილიამს და ედვარდს ერთმანეთთან ისეთი დამოკიდებულება ქონდათ, როგორც რიგით თანამშრომლებს, რაც მეტწილად ედვარდის დამსახურებით ხდებოდა. უილიამს დიდად არც სამსახური მოსწონდა და არც ჯამაგირი, თუმცა ედვარდს მეორე კლერკის რანგში პატიოსნად, პუნქტუალურად და ბეჯითად ემსახურებოდა, მისტერ ქრიმსვორთი კი ნაკლს გამუდმებით ეძებდა მასში, თუმცა ყოველთვის ხელმოცარული რჩებოდა. თავიდან იმედებით აღსავსე უილიამი ძმას რაღაცა დროის შემდეგ მოიხსენიებს როგორც: „ჩემი დამქირავებელი, „ჩემი უფროსი“. ერთგან ამბობს: მონასავით ვირჯები, თავი კი ვერაფრით მოვაწონეო, რაც უილიამისთვის იმის მანიშნებელი იყო, რომ ედუარდი უბრალოდ მოწყალებას იღებდა მისი დასაქმებით და ამ ურთიერთობაში არანაირი ოჯახური, ნათესაური სიყვარული არ არსებობდა.

ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვის განმავლობაში, უილიამისთვის ეს სამსახური და ძმასთან ერთად მუშაობა უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. ძმებს შორის ურთიერთობა არათუ გამოსწორდა, არამედ პირიქით, უფრო დაიძაბა. ამ ურთიერთობაში არ არსებობდა ნდობა, პატივისცემა და სიყვარული, რამაც საბოლოოდ ძმები ფიზიკურ დაპირისპირებამდე მიიყვანა. ამის შემდეგ ედუარდმა უილიამი სამსახურიდანაც გაათავისუფლა და აქედან დაიწყო უილიამის ცხოვრების ახალი ეტაპი. მძიმე აღმოჩნდა ძმების უკანასკნელი საუბარი:

,,აწი ვერარაფერს გამომაპარებ, შე ფარისეველო! მთელ ქ.-ში მომჭერი თავი წუწუნით ხომ? მიპასუხე!

- თავი მოგჭერი? შენზე არც ავი სიტყვა დამიძვრია და არც კარგი.

- ტყუი! ჩემი გაჭორვა ჩვეულებად გექცა. სახალხოდ მჭრი თავს, ცუდად მიხდის და ისე მექცევა, როგორც ძაღლსო. ნეტავ მართლა ძაღლი ყოფილიყავი! ამ მათრახს მანამდე გადაგიჭერდი, სანამ საკუთარ ძვლებს დაგაკვნეტინებდი!

მითრახარი მომიღერა და შუბლზე ოდნავ შემეხო. ძარღვებსი სისხლი ისე მომაწვა, რომ სახე გამიხურდა. წამოვხტი და პირისპირ დავუდექი.

- დააგდე მათრახი! - ვუბრძანე ,- და ახლავე ამიხსენი რას მემართლები!
- უკაცრავად და, ვის ელაპარაკები იცი?
- შენ. მგონი აქ შენ გარდა სხვა არავინაა. მითხარი, ცილი დამწამეო... დაბალ ჯამაგირსა და ძაღლურად მოქცევაზე გამჭორეო. დამამტკიცებელი რამეც მოაყოლე ამ შენ ბრალდებებს.

როცა ეს მკაცრი მოთხოვნა წავუყენე, ქრიმსვორთს ღირსება დაავიწყდა და გამკივანი ხმაით დაიჭყო ახსნა.“ (ბრონტე 2020: 45)

სიყვარული და მეგობრობა რომანის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემაა, რომელიც მაშინვე პრობლემად გადაიქცევა, თუ იგი ფულს დაუკავშირდა. ერთი მხრივ, ანგარებიანი და მეორე მხრივ, წრფელი სიყვარულის

მაგალითია ორი წყვილის - პელე-რიუტესა და ქრიმსვორთი-ფრენსისის - ურთიერთობა. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უცხო არ არის სიყვარულის ასეთი მატერიალისტური გაგება. თუმცა ქრიმსვორთს სიყვარულშიც უმართლებს და მეგობრობაშიც. სწორედ ერთგული მეგობრის საშუალებით დააღწევს თავს არაერთ პრობლემას უილიამი. რომ არა უილიამის ნამდვილი მეგობარი მისტერ ჰანდსენი, რომანის მთავარ გმირს ცხოვრების გზაზე კიდევ უამრავი სირთულის გადალახვა მოუწევდა. სწორედ მისტერ ჰანდსენმა უბიძგა უილიამს წამოსულიყო ძმის კანტორიდან, მოშორებოდა დამამცირებებლ გარემოს, სრულიად უპერსპექტივო საქმიანობას და გამგზავრებულიყო ბელგიაში, სადაც მისივე სარეკომენდაციო წერილის დახმარებით მოეწყო სკოლაში მასწავლებლად. ჰანდსენმა იხსნა აუქციონზე გასაყიდად გამზადებული უილიამის დედის პორტრეტი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა ქრიმსვორდისთვის და ა.შ. ეს შემთხვევა სრულიად განსხვავდება მესიე პელეს მოჩვენებით მეგობრობისგან, რომელიც დიდხან არ გაგრძელდა.

„თავად პელე? ისევ მომწონდა თუ არა? კი ცხადია, თან, როგორ! მის დამოკიდებულებაზე მეგობრული, სათნო და გულკეთილი სხვა ვერაფერი წარმომედგინა. მისგან არც გულცივობა, არც ქედმაღლობა, არც საქმესი უხეში ჩარევა, არც ქედმალობა და უპირატესობის დემონსტრირება არ მახსენდებოდა. ვშიშობ, ასევე კეთილად მასზე ორი საწყალი ბელგიელი უმცროსი მასწავლებელი ვერ ისაუბრებდა. მათთან დირექტორი მუდმივად ცივი, მკაცრი და სიტყვაძუნწი იყო.'' (ბრონტე 2020: 75)

მესიე პელე თავდაპირველად მეგობრად მიაჩნდა უილიამს, მის მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილიც იყო და ფრიად ნასიამოვნებიც, რადგან ასეთი თბილი დახვედრა და ყურადღება ახლად დაწყებულ სამსახურში ნამდვილად არავის ეწყინებოდა, თუმცა შემდეგ მან თავისი ნამდვილი სახე გამოავლინდა და უილიამმაც დაინახა მესიე პელეს ხასიათის ბნელი მხარეები. უილიამს არ მოწონდა მისი დამოკიდებულება იმ ბელგიელი

უმცროსი მასწავლებლების მიმართ, რომელთა წინაშეც პელე ძალიან სიტყვაძუნწი და მკაცრი გახლდათ. სწორედ ეს დამოკიდებულებები უღუძრავდა ეჭვს უილიამს მესიე პელეს მიმართ, რაშიც საბოლოოდ დარწმუნდა კიდეც და მისგან თავის შორს დაჭერა ამჯობინა.

უილიამს ერთგული მეგობრის დახმარება ცხოვრების ურთულეს გზაზე უჩვენებს გეზს მომავლისა და რთულ მომენტებში საიმედო საყრდენს წარმოადგენს, თუმცა სიყვარული ფრენსისის სახით უილიამს ცხოვრების მეგზურსა და სულის სიმშვიდეს აპოვნინებს, რაც მისთვის ასეთი მნიშვნელოვანია, ის ხომ ასე გამალებთ ეძებს ბელგიელებს შორის ვინმე კეთილსინდისიერს, განათლებულს და სულის მშვენიერებით აღსავსე პიროვნებას. სწორედ ფრენსისია ის, ვისაც უილიამი ეძებდა და მისდა გასაკვირად იგი საკუთარ საკლასო ოთახში აღმოაჩინა. ფრენსისის ნიჭიერება, უმანკოება და კეთილი მზერა უილიამისთვის საოცნებო მზერად გადაიქცა, რომელიც სურდა, რომ მთელი ცხოვრება ენახა.

რომანში ავტორი დიდი სიფაქიზით გადმოგვცემს მათ ურთიერთობას. უილიამისთვის სიყვარული იმდენად დიდებული გრძნობა იყო, რომ მასზე მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო და როდესაც ფრენსის ანრის შეხვდება, მაშინ გაიაზრებს, თუ რაოდენ მშვენიერია ცხოვრება და რამდენად ცვლის ეს გრძნობა ადამიანს.

3.2. სნობური ნაციონალიზმი

წარმოშობით ინგლისელი ქრიმსვორთი ზევიდან უყურებს ფლამანდელებს და აშკარაა, რომ მათ ეროვნული ნიშნით გამოარჩევს. მას თავი ბევრად უპირატესად მიაჩნია და თვლის, რომ მიუხედავად მისი იმჟამინდელი უსახსრობისა, მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე მის სწორს, ვინმე ფლამინდიელს. მაგრამ ეს მისი, გმირის პირადი დამოკიდებულება და ფიქრია, იგი საქმეში პრაქტიკულად ამას არ ამჟღავნებს.

ამის ნათელი მაგალითია მესიე პელეს და ფლამინდიელების ურთიერთობაა, დირექტორი მუდმივად მკაცრი და ცივი იყო ორი უმცროსი ფლამინდიელი მასწავლებლის მიმართ, რომლებიც უილიამთან ერთად მუშაობდნენ და თითქოს მისგან არაფრით გამოირჩეოდნენ, თუმცა აშკარა იყო ფლამინდიელების მიმართ მისი არაკეთილგანწყობილება, რაც მესიე პელეს ფრანგული წარმომავლობით იყო გამოწვეული. უილიამისთვის დირექტორის ასეთი დამოკიდებულება კოლეგების მიმართ მიუღებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ თავადაც ფლამინდიელებზე უპირატესად მიიჩნევდა თავს.

თავდაპირველად უილიამი თითქოსდა ცდილობდა ყველაფერი კარგი დაენახა ბელგიაში და ბელგიელებში. თავისუფლების ტკბობით გართულს ქალაქი, სასტუმროც და ხალხიც თავაზიანად ეჩვენებოდა, თუმცა ღრუბლებიდან მალე ჩამოეშვა და გაახსენდა რომ მან სულ ახლახანს დააღწია თავის 21 წლიან მონობას და ახლაც გასაჭირის გამო სხვა ბატონის პოვნა უწევდა.

უილიამის და მისტერ ბრაუნის (მისტერ ბრაუნი გალდათ ჰანდსენის მეგობარი,რომელმაც უილიამს გაუწოდა დახმარების ხელი ბრიუსელში ჩასვლის შემდეგ) შეხვედრიდან ჩანს, რომ უილიამი არცთუ უამბიციო პიროვნებაა, მიუხდავად მისი იმდროინდელი გაჭირვებისა, ის მაინც ფიქრობ, რომ კლერკობა და ნოქრად მუშაობა მისთვის შესაფერისი სამსახური არაა:

„მერე მცირე ხანს დაფიქრდა და ლიეჟში სავაჭრო სავაჭრო სახლში სჭირდებათ ნოქარიო, მითხრა, თუმცა იქვე მოაყოლა, ლუვენში კი წიგნის მაღაზიაში უნდათ დახმარებაო.

__კლერკი და ნოქარი! __ ჩავიბუტბუტე ჩემთვის, __ არა, __ გავაქნიე თავი. კანტორის მაღალ საკმზე ჯდომა უკვე გამოცდილი მქონდა და აღარ მსურდა. გულში მჯეროდა, რომ ჩემნაირისთვის სხვა, უფრო შესაფერისი

საქმეც გამოინახებოდა, თანაც ბრიუსელიდან წამოსვლაც აღარ მინდოდა“ (ბრონტე 2020: 64).

თუმცა ზემოთხსენებული შემოთავაზებებისგან განსხვავებით, მისტერ ბრაუნმა გაიხსენა, რომ ერთ-ერთ საკმაოდ სერიოზულ დაწესებულებაში ინგლისურის და ლათინურის მასწავლებელს ეძებდნენ და სწორედ იქ შეიძლებოდა მისთვის სამსახურის გამოძებნა. ეს შემოთავაზება უილიამისთვის ისეთი გასაკვირი და ამავდროულად სასიხარულო აღმოჩნდა, რომ მასზე ოცნებასაც კი ვერ შეძლებდა. სულ რამდენიმე კვირის წინ, საკუთარი ძმის დაქირავებული ხელქვეითი იყო. ახლა კი მასწავლებლად მუშაობის საშუალება ეძეოდა, ეს კი იმაზე მეტი იყო ვიდრე ის იოცნებებდა.

„ორიოდე წუთიც არ დამჭირვებია დასაფიქრებლად, რომ ამ იდეას ჩავჭიდებოდი.

__სავსებით მისაღებია, სერ! __ მტკიცედ წაროვთქვი.

__მაგრამ ფრანგული იმდენად კარგად გესმით, რომ ბელგიელ ბიჭებს ინგლიური ასწავლოთ?

საბედნიეროდ, ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა შემეძლო. რაკი თავის დროზე ფრანგულს ფრანგი მასწავლებელი მასწავლიდა, ამ ენაზე სხაპასხუპით თუ არა, საკმაოდ გასაგებად და მკაფიოდ შემეძლო აზრის გადმოცემა. კითხვაც კარგად ვიცოდი და თავს არც წერისას შევირცხვენდი“ (ბრონტე 2020: 64-65).

თუმცა უილიამს ცხოვრების გზაზე ბევრი ეკალბარდი შეხვდა, წლების შემდეგ ბელგია უილიამისთვის სულ სხვა შთაგონების წყაროდ იქცა, მან სწორედ ბელგიაში დაიწყო ის საქმიანობა, რაც მომავალში მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. მისი პირველი წარმატებული ნაბიჯები სწორედ ხომ ბელგიაში გადაიდგა. მეოცნებე ახალგაზრდა მამაკაცისთვის

სასურველი სამსახურის პოვნა და საკუთარი ადგილის დამკვიდრება უცხო ქალაში არცთუ ისე მარტივი იყო, თუმცა უილიამს არც ეს გაუჭირდა. თავისუფლებისა და მომავლის იმედი სწორედ აქ ჩაისახა და რაც კიდევ ყველაზე მნიშვნელოვანია, მან ბელგიაში გაიცნო მომავალი მეუღლე ფრენსისი, რომელთან ერთადაც უამრავი ბედნიერი წელი გაატარა. ყოველივე ზემოთთქმულის შემდეგ ალბათ გასაკვირი იქნება უილიამის მხრიდან ბელგიელების მიმართ სნობიზმზე საუბარი, თუმცა უილიამი თავმომწონე და საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანი გახლდათ, რომელსაც უყვარდა საკუთარი ქვეყანა და ეამაყებოდა თავისი წარმომავლობა. მიუხედავად მისი კეთილი ბუნებისა, ეს თავდაჯერებულობა მაინც ახდენდა დროდადრო მასზე გავლენას და აგრძნობინებდა ხოლმე თავს ფლამინდიელებზე უპირატესად.

როდესაც სნობიზმზე ვსაუბრობთ, არ უნდა გამოგვრჩეს უილიამის ძმა, რომელიც ყოველმხრივ ამართლებს სიტყვა ,,სნობის'' სტერეოტიპს. ედვარდს საკუთარი უმცროსი ძმისთვის ბევრჯერ უგრძნობინებია, თუ რაოდენ მაღლა იდგა ის სოციალური თუ მორალური თვალსაზრისით, არც უტიფარ საუბარს ერიდებოდა და არც პირდაპირობას, რასაც მათ, დედმამიშვილურ, ისედაც მყიფე ურთიერთობას კიდევ უფრო დიდ დაღს უსვამდა:

„__საკმარისად ხელმოკლე ხარ, როგორც ვხვდები. ჰოდა, სანამ ჯამაგირს აიღებდე, თავის გატანას როგორ გეგმავ?

__როგორმე გავიტან, მივუგე.

__როგორ იცხოვრებ-მეთქი?__ ხმას აუწია.

__როგორც შევძლებ, მისტერ ქრიმსვროთ.

__ ანუ რისკის ფასად ვალს აიღებ? გასაგებია, __ განაცხადა მან,__როგორც ვხვდები არისტოკტრატებისთვის დამახასაითებელი ექსტრავაგანტური

ჩვევები უნდა გქონდეს. დროულად მოიცილე! მფლანგველობას ვერ ვიტან და არასდროს დამატებით შილინგსაც არ გაღირსებ, რაშიც უნდა დაგჭირდეს... ეს კარგად გახსოვდეს!“ (ბრონტე 2020: 20-21).

ზემოთ აღნიშნული საუბრიდან ჩანს, რომ უილიამი ზედმეტად ცივი და ამპარტავანია ძმის მიმართ. მას არანაირი სურვილი აქვს ძმასთან ურთიერთობის გარდა, როგორც დაქირავებული მოხელისა, რაც ცხადყოფს იმას, რომ ედვარდისთვის უფულო ადამიანის ნათესავად მიღება არასასურველია, იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც ის მისი საკუთარი ძმა იყოს. ღვიძლი ძმის მიმართ ასეთი დამოკიდებუება კი თავის მხრივ გვაჩვენებს იმას, რომ ედვარდი უგულო, ამპარტავანი და ამბიციური ადამიანია, რომელიც მხოლოდ ფინანსური თავლსაზრისით და მატერიალური სტატუსით აფასებს ადამიანებს. საკუთარინ დედმამიშვილის ასეთი დამცირების შემდეგ, ადვილი მისახვედია, როგორ მოექცეოდა იგი უბრალო, უქონელ და მასზე დაბლა მდგომ ადამიანს, რომელიც მის თავლში ნამდვილ არარაობად წარმოჩნდებოდა.

ამ მოანკვეთში ალბათ უფრო საინტერესო იქნებოდა ყურადღების გამახვილება მესიე პელესა და მისი შეხედულებებზე, მის დამოკიდებულებაზე ადამიანების მიმართ, საინტერესოა სწორედ ის მონაკვეთი, როდესაც ფლამინდიელ მასწავლებლებს დაუმსახურებლად უხეშად ექცევა და მათთან უტიფრად ავლენს სნობურ ნაციონალიზმს.

ერთხელ, როდესაც უილიამს მესიე პელემ შეამჩნია გაოცება, თუ რატომ ანსხვავებდა უილიამს და ფლამინდიელ მასწავლებელს ერთმანეთისგან და რატომ იყო მათთან ასეთი მკაცრი, მესიე პელემ ღიმილით ასე უპასუხა უილიამს:

“__Ce ne sont que des Flamandes__allez!”[1] (ბრონტე 2020: 75)

[1] (ფრ. ეგ არაფერი, მაინც ფლამინდიელები არიან)

მერე პირიდან სიგარეტი გამოიღო და იმ ოთახში, სადაც ვისხედით დააფურთხა. დიახ ისინი მართლაც ფლამინდიელები იყვნენ, რასაც ორივეს ფიზიონომიაც გასცემდა დაბალინტელექტუალური იერითა და მზერით, მაგრამ კაცები იყვნენ და თან პატიოსანი კაცები. ამიტომ ვერ ვხვდებოდი, რადგან ამ მოსაწყენი და უინტერესო ქვეყნის შვილები იყვნენ, მათთან ამხელა სიმკაცრე და არაკეთილმოსურნეობა უნდა გამოვლენილიყო?“ (ბრონტე 2020: 75-76).

თვალსაჩინოებისთვის, საინტერესოა თავად უილიამის შეფასება ინგლისელ და ბელგიელ მოსწავლეებთან დაკავშირებით:

,,პირველი სახეობას კონტინენტური ევროპის ინგლისელები წარმოადგენენ, ისინი მარცხგანცდილი ავანტიურისტი მშობლების ასულები იყვნენ, რომლებიც გატეხილ სახელსა და ვალებს სამშობლოდან გამოეძევებინა. ამ საწყალმა გოგონებმა მშობლიური კერის, თავაზიანობისა და პატიოსანი პროტესტანტული აღზრდისა არაფერი უწყოდნენ. ხან ერთ კათოლიკურ სკოლაში დადიოდნენ, ხან მეორეში, რაც იამაზი იყო დამოკიდებული, მშობლები სად უკრავდნენ თავს. მათი გადაადგილების არეალი კი გერმანია, საფრანგეთი და ბელგია იყო. ამ ყარიბობაში კი მათ ცოდნა სუსტი შეეძინათ, აი, მანკიერი თვისებები კი ბლომად! აღარც რელიგიის პირველსაწყისები ახსოვდათ, აღარც ზნეობა, ხოლო ადამიანის სულის ამაღლების მიმათ კი სრულაიდ გულგრილად იყვნენ განწყობილი. კარჩაკეტილობითა და უგუნებობით გამოირჩეოდნენ, რაც შელახული ღირსების მათივე განცდიდან გამომდიანარეობდა. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ კათოლიკე თანაკლასელებს ეს გოგონები ინგლისელების გამო სძულდათ და ისეთი ზიზღით უყურებდნენ, როგორც ერეტიკოსებს.'' (ბრონტე 2020: 117)

ყოველივე ზემოთთქმულის შემდეგ უილიამი ამბობდა, რომ - მეორე სახეობის - ბრიტანეთიდან ჩამოსული ინგლისელი მოსწავლეები უფრო

ინტელექტუალები, თავშეკავებულები და კორექტულები იყვნენ, ვიდრე ბელგიელიები. მათ საკმაოდ ქონდათ ის სიამაყეც და თავდაჯერებულობაც, რაც მათი თანაკლასელებისგან გამოარჩევდა და ყოველგავარი უხერხული სიტუაციიდან იხსნიდა. უილიამი ამბობს, რომ სწორედ მათი რელიგიური მრწამსის განსხვავებულობის გამო იყვნენ ისინი ბელიელებიგან გამორჩეულები.

თავალშისაცემია ის ფაქტი, რომ ინგლისელებსა და ადგილობრივებს შორის არ იყო კეთილგანწყობა, რაც თავისი მხრივ უილიამსაც ეტყბა იმ ფრანგ კოლგა-მასწავლებლებთან მიმართებაში ,რომლებსაც შემდეგნაირად ახასაითებდა.

,,ამ გოგონებს სამი მასწავლებელი ჰყავდათ, სამივე ფრანგი. მათ სახელებსაც ჩამოგითვლით: მადმუაზელ ზეფირინი, პელაჟი და სიუზეტი. ბოლო ორი საშუალო დონის პერსონაჟად მაგონდება. ჩვეულებრივი გარეგნობა, ჩვეულებრივი საქციელი, ჩვეულებრივი ხასაითხი, ჩვეულებრივი აზრები... მოკლედ, ყველაფერ იმდენად ჩვეულებრივი, რომ მათ აღწერას ცალკე თავიც რომ მივუძღვნა, სიტყვა ,,ჩვეულებრივს" გვერდს მაინც ვერ ავუვლი და საინტერესოსაც ვერაფერს ვიტყვი." (ბრონტე: 2020: 118)

3.3. ანტიკათოლიციზმი

რელიგიას საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა შ. ბრონტეს ცხოვრებაში და აზროვნებაში. ამის შესახებ უფრო უკეთ მისი რომანების წაკითხვისა და გაცნობის შემდეგ მიხვდებით. რელიგიის საკითხი მისთვის მნიშვნელოვანი იყო და ეს იმანაც განაპირობა რომ, მისი მამა საეკლესიო პირი გახლდათ, თუმცა შვილებს შეზღუდვების გარეშე ზრდიდა, სწორედ ეს თავისუფლება, რომელიც მამამ თავის შვილებს მისცა სამომავლოდ მათ დიდად დაეხმარა აზროვნების სწორად ჩამოყალიბებაში.

ბრონტეს რომანში „მასწავლებელი“, მთელი ამ ამბის თხრობაში, ბევრი ანტიკათოლიციზმია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უილიამი აღწერს გოგონების სკოლას, გამოთქვამს ვარაუდებს მათ შესახებ და მათი ეროვნების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ისინი პროტესტანტი ინგლისელ გოგონებთან ახლოს ვერ მოვლენ აღზრდით და მორალური თვისებებით. ასევე შემთხვევითი არ არის, რომ შემგუებელი, მანიპულირებადი ზორაიდე როიტერი კათოლიკეა, ხოლო მშვიდი, პატიოსანი ფრენსისი პროტესტანტი (და ნახევრად ინგლისელი).

„ახლო მეგობრობა სკოლის განაწესის თანახმად იკრძალებოდა, ამიტომ გოგონებიც ამხანაგებთან მხოლოდ იმ დონის სიახლოვეს ამჟღავნებდნენ, რაც აუტანელი მარტოობის დასაძლევად დასჭირდებოდათ.

ისიც ვიფიქრე, ეტყობა, ვერ ხვდებიან, რომ მანკიერად იზრდებიან-მეთქი, რადგან უსაფრთხოების იმაზე მეტი ზომა იცავდა მათ ცოდვისგან, რომ ჩამოთვლაც გამიჭირდება. მაგრამ ,აბა რატომღა ხდებოდა, რომ ზოგიერთი თოთხმეტი წლის გოგონა მამაკაცისთვის პირდაპირ სახეში შეხედვას არ ერიდებოდა, თუმცა კი მოკრძალებულად და წესიერად? მაგრამ უმეტესობა ხომ მამაკაცის მზერას კეკლუცი და მოარშიყე თავლებით პასუხობდა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ თვალებს ჟუჟუნებდა.

 არაფერი ვიცი რომაული კათოლიკური რელიგიის საიდუმლოებაზე და არც ფანატიკოსი მორწმუნე არ გახლავართ, მაგრამ ეჭვი მაქვს, ეს ნაადრევი ბიწიერება, რაც პაპისტურ ქვეყნებში ასე აშკარად შეიმჩნევა, რომაული ეკლესიის დოქტრინაში თუ არა, დისციპლინაში მაინც უნდა ვეძიოთ“ (ბრონტე 2020: 110).

უილიამი საკმაოდ კრიტიკულად აფასებს თავის მოსწავლე გოგონებს და მათი მანკერი მხარეების სააშკარაოზე გამოტანით გვაჩვენებს იმას, თუ რაოდენ კარგ და რესპექტაბელურ ოჯახებში გაზრდილებიც არ უნდა ყოფილიყვნენ გოგონები, მათ აკლდათ ის სულიერება რაც უილიამისთვის

ასე მნიშვნელოვანი იყო. მისი აზრით, კლასში არ მოიძებნებოდა ერთი მოსწავლე მაინც, ვიზეც შეეძლო თამამად ეთქვა, თუ რაოდენ მოწესრიგებული, განათლებული და კარგად აღზრდილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ კლასში მოსწავლეებს შორის ბევრი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი იყო, უილიამი მათ ყველას ერთი თვალით უყურებდა და უვიცებად მიიჩნევდა. როგორც უილიამი რომანში აღნიშნავს, გოგონებს არ აკლდათ ზრუნვა, იზრდებოდნენ კარგ ოჯახებში, თუმცა მათი დიდი ნაწილი ზნეობრივად გარყვნილი იყო, რაც მას როგორც მასწავებელს ძალაინ არელვებდა. უილიამი ერთ-ერთი მოსწავლის საკმაოდ ვრცელ აღწერილობას იძლევა და მის გარეგნულ და სულიერ მდგომარეობაზე შემდგნაირად გვესაუბრება:

„პირველი სურათია აურელია კოზლოფია, გერმანელი Fräulein[2]-ი, უფრო სწორად კი, რუს-გერმანელი. თვრამეტი წლისაა და ბრიუსელში განათლების დასასულრულებლად არის გამოგზავნილი. საშუალო სიმაღლისაა, ჯმუხი ტანი მაღალი აქვს, ფეხები - დაბალი. მკერდი გასთქვირებია, მაგრამ ფორმადაკარგულს მიუგავს, წელი რომ წვრილი გამოუჩნდეს, არაადამიანურად შემოჭერილი კორსეტით დადის. კაბებს თავის ტანზე იკერავს, მსხვილ ტერფებს კი ნაზ ფეხსაცმელში ძლივს ატევს. თავი პატარა აქვს, მაქმანებჩაწნული, დაზეთილი თმა კი სრულყოფილებამდე დაუზეპავს. შუბლის სიმაღლე აკლია, პატარა ნაცრისფერი თვალებიდან შურისმგებელი მზერა გამოსჭვივის. ნაკვთები თათრული აქვს, ცხვირი მიბრტყელებული, ღაწვები მაღალი, თუმცა საერთო ჯამში მახინჯს ვერ უწოდებ. კანის ფერს არაუშავს. ეს გარეგნული მხარე. რაც შეეხება მის პიროვნულ მახასიათებლებს, სასტიკად უვიცია, სრული არამცოდნე. გამართულად მშობლიურ გერმანულადაც ვერ წერს და ვერ ლაპარაკობს. სრული შტერია ფრანგულში, ინგლისურის ათვისების უსუსური მცდელობა კი, უბრალოდ თავის მოტყუებაა, რადგან სკოლაში უკვე თორმეტი წელია დადის, და რაკი დავალებებს ამხანაგებისგან იწერს,

[2] (გერმ.) ფროილაინი.

ხოლო გაკვეთილის ჩაბარებისას კალთაში დამალული წიგნისკენ აპარებს თვალს, გასაკვირი აღარაა, განათლების გზაზე ლოკოკინის სისწრაფით, რომ მიღოღავს“ (ბრონტე 2020: 111).

3.4. გენდერული საკითხი

იმ ეპოქაში, როდესაც ქალები მხოლოდ შთამომავლობის გამგრძელებლად და დიასახლისებად მიიჩნეოდნენოდნენ და მათი სამოქმედო არეალი ოჯახს არ სცილდებოდა, შარლოტა ბრონტე თავისი მწერლობით მამაცურად ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებაში საუკუნეების მანძილზე მყარად ფესვგადგმულ ამ მოსაზრებას. მისი რომანები ბევრს ამბობს სოციალური და გენდერული ნიშნით დაჩაგრული ქალების ცხოვრებაზე, სწორედ ამ მიმართულებით დაიმკვიდრა ადგილი და სახელი შარლოტა ბრონტემ, როგორც მისი დროის ერთ-ერთმა პირველმა მწერალმა ქალმა, რომელმაც საზოგადოების ყურადღება მიაპყრო ქალთა პრობლემებს. აღნიშნულ საკითხებზე ვერავინ უკეთ ვერ ისაუბრებდა, ვიდრე თავად ქალი და ბრონტემაც გამოიყენა ეს მძლავრი იარაღი - კალამი, რომ ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოეტანა და განხილვის საგნედ ექცია თემა, რომელიც ხშირად ქალების მხრიდანაც კი უკრიტიკოდ იყო მიღებული.

შარლოტა გონიერი ახალგაზრდა ქალი იყო, რომელიც ადრევე დაინტერესდა პოლიტიკით. ცხრა წლის ასაკში მან უფრო მეტი იცოდა პოლიტიკის შესახებ, ვიდრე ბევრმა ზრდასრულმა მამაკაცმა. ამ დროისთვის მისი საქმანობა მხოლოდ სწავლა უნდა ყოფილიყო, თუმცა მისი ინტერესის სფერო უფრო შორს მიდიოდა და ისეთ საკითხებს უთმობდა ყურადღებას, რაც ერთი შეხედვით იმდროინდელი ქალის მომავლი ცხოვრებისთვის ნაკლებად გამოსადეგი და სასარგებლო უნდა ყოფლიყო, მაგრამ სწორედ ამ ინტერესებიდან გამომდინარე, მან დაამსხვრია ბევრი სტერეოტიპი და გზა გაიკვალა ისე ,როგორც თავის ოცნებებში წარმოედგინა.

ფაქტია, რომ ქალი ავტორებისთვის იმ პერიოდში წარმატებისკენ სავალი გზა რთულად გასაკვალი იყო. ამიტომ კურერ ბელის სახელს ამოფარებულმა შარლოტამ შექმნა ჭეშმარიტი იდეებით აღჭურვილი, ერუდირებული, პროგრესული შეხედულებების მქონე გმირები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, პატივს სცემდნენ საკუთარ თავს და არ უშინდებოდნენ საზოგადოებასთან დაპირისპირებას. ვიქტორიანული ეპოქის სხვა ქალმა ავტორებმაც შექმნეს არაერთი ნაწარომები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა და დღესაც არ აკლია მკითხველის ინტერესი.

ისეთი ქალები, რომლებიც დამოუკიდებლობის სურვილით იყვნენ გამსჭვალულნი, იშვიათობას წარმოადგენდა შარლოტა ბრონტეს დროს. ქალის არსებაში თანასწორობისა და თავისუფლების სურვილი დამალული და დათრგუნული იყო. სულის ასეთ დაკნინებას კი ადამიანები სავალალო შედეგებამდე მიჰყავდა. ქალები ჩუმად ატარებდნენ ოცნებას საკუთარი მნიშვნელობის აღიარების, საზოგადოებაში მამაკაცის ტოლი მდგომარეობს დამკვიდრების შესახებ. სწორედ წერის საშუალებით მიეცა ბრონტეს შესაძლებლობა, გამოეხატა საკუთარი დათრგუნული თვითმყოფადობა და ოცნებები. თავის მხრივ კი სხვა ქალებს მოუწოდებდა, არ ჩაკეტილიყვნენ საკუთარ თავში, გამოეთქვათ საკუთარი სურვილები და ემოციები. სწორედ მისი ამ თვისებების წყალობით დაიბადნენ „ჯეინ ეარისა“ და „მასწავლებლის“ მთავარი ქალი პერსონაჟები.

ეს არის ის თემა, რასაც ბრონტე ისევ და ისევ უბრუნდება თავის რომანებში - ქალების აქტიური ბრძოლა, უკეთესი ცხოვრებისთვის, საზოგადოების პატივისცემა და ღირსეული ადგილი.

შ. ბრონტეს სურდა მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, რომ ქალებს არ სურთ ტანჯვა მამაკაცთა სამყაროში. მან გამოხატა თავისი დამოკიდებულებები და შეხედულებები საკუთარი წერის უნარების მეშვეობით. მისი ნაწაროებებიდან ადვილი სათქმელია, რომ ის შეპყრობილია

თავისუფლების სურვილით. ის კარგად იცნობდა ქალთა მდგომარეობას და მათი უფლებების დასაცავად ხმა აღიმაღლა იმ დროს, როდესაც ამაზე საუბარი მიზანშეწონილი არ იყო. მისი რომანები ეჭვქვეშ აყენებს ძველ ტრადიციას, რომ ქალებს მხოლოდ ქორწინებაში შეუძლიათ იპოვონ თავიანთი ადგილი, პატივი და ღირსება. ამიტომ, ეს ყველაზე მთავარია ცხოვრებაში. მან ასევე გააპროტესტა იდეა, რომ ქალებმა უნდა იცხოვრონ მონური ცხოვრებით დაბადებიდან სიკვდილამდე.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ იყო, რომ შარლოტა ბრონტე ვიქტორიანულ ეპოქაში ფემინიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელად იყო მიჩნეული.

მე-19 საუკუნეში ქალები გენდერული ნიშნითაც განიცდიდნენ უთანასწორობას, ქალებისთვის ძალიან რთული იყო, გამოექვეყნებინათ ნაწარმოები და შეექმნათ მწერლის წარმატებული კარიერა. ინგლისურ საზოგადოებაში გერნდერული პრობლემებიდან გამომდინარე გამოაქვეყნა ბრონტემ თავისი პირველი რომანი „ჯეინ ეარი“ მამაკაცის ფსევდონიმით „კურერ ბელი“. ჩათვალა, რომ ნაწარმოების წარმატებისთვის უმჯობესი იყო დაემალა ვინაობა, იგულისხმება - სქესი.

1840 წელს, როდესაც „ჯეინ ეარი“ გამოქვეყნდა, ვიქტორიანული საზოგადოებისთვის და ყველა სოციალურ კლასისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობის, სტატუსისა და უფლებების არათანაბარი აღქმა - ქალები უფრო დაბალა იდგნენ, ვიდრე კაცები. ქალებს არ ქონდათ ხმის მიცემის უფლება, საზოგადოებრივად აქტიურობის საშუალება და მათი სამოქმედო არეალი მხოლოდ ოჯახით შემოიფარგლებოდა. ჯეინ ეარის პერსონაჟი კი შეებრძოლა დამკვიდრებულ სტერეოტიპებს.

როგორც ვიცით, თავად შარლოტა ბრონტე არ იყო ლამაზი და მიმზიდველი ქალბატონი, იგი თავის რომანებში ხაზს უსვამს შინაგან სილამაზეს და არა

გარეგნობას. იმ დროისთვის სილამაზის ეს კონცეფცია საკმაოდ ახალი იყო, რადგან საზოგადოება ხედავდა მის წინაშე მყოფი ქალის გარეგნულ სილამაზეს და არა სულიერებას.

შარლოტასთვის მიუღებელი იყო ძალთა დისბალანსი სქესებს შორის, „ჯეინ ეარის“ შემდეგ მან ასევე გენდერული საკითხი უყურადღებოდ არ დატოვა რომანში „მასწავლებელი“, სადაც ზემოთ აღნიშნული პრობლემა გადმოცემულია გოგონების და ბიჭების სკოლების მაგალითზე.

რომანში „მასწავლებელი“ ნაჩვენებია სკოლის ორი სახე, აქ განცალკევებულია გოგონების და ვაჟების სკოლა, სადაც ვაჟების სკოლაში მხოლოდ მამაკაცი მასწავლებლები ასწავლიან და გოგონების სკოლას მხოლოდ ქალი პედაგოგები მართავენ.

თავდაპირველად რომანის მთავარ გმირს უილიამსაც მხოლოდ ვაჟების სკოლაში უწევს მუშაობა, მისი საძინებელი ოთახის სარკმელი, რომელიც მას ასე იმედებით აღავსებდა, ფიცრებით იყო აჭედილი იმისათვის, რომ ქალთა პანსიონატის ეზოში გახედვაც კი არ შეძლებოდა უილიამს, თუმცა მისი ინტერესი იმაზე დიდი იყო ამ აჭედილი ფანჯრის მიღმა, ვიდრე თავადაც წარმოედგინა. მისდა გასაოცრად, შემდეგში მოხდება ისეთი ფაქტი, რომ იგი გოგონების სკოლაშიც მოეწყობა სამუშაოდ და იქაც შეუდგება პედაგოგიურ საქმიანობას. უილიამს მიეცემა საშუალება უკეთ გაეცნოს იმ საოცნებო ადგილს, რომლის ნახვის სურვილიც ყოველი გათენებისას ქონდა, თუმცა აჭედილი სარკმელი მას ამის საშუალებას არ აძლევდა.

გენდერის საკითხთან მიმართებაში უთუოდ საინტერესოა რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის - ფრენსის ანრის ცხოვრება, რომელმაც საკმაოდ გრძელი ეკლიანი გზა გამოარა იქამდე, სანამ თავის ნამდვილ სიყვარულს შეხვდებოდა და წარმატებულ კარიერას მოიწყობდა, როგორც რომანის კითხვისას გავეცანით იგი მუშაობდა გოგონების სკოლაში, სადაც მოსწავლე გოგონებს მაქმანების კერვას ასწავლიდა, ეს სამსახური მისი შემოსავლი

ერთადერთი წყარო გახლდათ, თუმცა ეს საარსებო წყარო მადმაზელ რუიტეს მეშვეობით მალევე დაკარგა, ეწვიანობის ნიადაგზე ქალბატონმა დირექტრისამ იგი სამსახურიდან გაათავისუფლა და მის გაჭირვებას კიდევ ერთი უმთავრესი პრობლემა, უმუშევრობა დაუმატა. ფრენსის ანრი, როგორც ავღნიშნეთ გაჭირვებაში ცხოვრობდა ერთადერთ მამიდასთან, რომელიც მალევე გარდაიცვალა და ანრი ბედის ანაბარა დარჩა. მარტოობისთვის განწირული და სრულიად უიმედო ფრენსის ანრი, მიუხედავად ყველაფრისა ფარ-ხმალს არ ყრის და თავისი მიზნისკენ სწრაფვის სურვილს არ კარგავს. იგი მოულოდნელად ცხოვრების გზაზე ისევ ხვდება უილიამი ქრიმსვროთს, რომელიც ეხმარება მას დასახული მიზნების განხორციელებაში და საბოლოოდ, ისინი ერთად აღწევენ დასახულ მიზანს და ერთმანეთის მხარში დგომით გაიკვლევენ წარმატებისკენ სავალ გზას. მათი სულიერი და ფიზიკური ერთობა ისეთი ძლიერი იყო, რომ ვერც მადმუაზელ რიუტემ და ვერც ცხოვრებისეულმა სირთულეებმა ვერაფერი დააკლო, ბედმა კი ისინი სამარადისოდ დააკავშირა.

ფრენსისის სახით ბრონტემ დახატა მებრძოლი სულისკვეთების ახალგაზრდა ქალი, რომელიც უსახსროდ და უთვისტომოდ დარჩენილიც კვლავ ბედნიერ მომავალზე ოცნებობს, არ ეგუება სავალალო აწმყოს და დაუღალავად იღწვის საკუთარი ოცნებების განხორციელებისთვის. მისი შეუპოვარი ხასიათისა და ბრძოლის შედეგია ბედნიერი ოჯახი, წინაპრების სამშობლოში - საოცნებო ინგლისში დამკვიდრება და წარმატებული კარიერა. ბრონტემ თავის ეპოქის ქალებს ამ გმირის სახით მისცა მაგალითი, თუ როგორ უნდა ემოქმედათ, რომ მათი სურვილები კვლავაც ოცნებების სფეროში არ დარჩენილიყო, როგორც ეს გარდასულ თაობებს ხვდათ წილად.

3.5. სკოლა და განათლება

სკოლა და განათლება - ეს თემა ავტორისთვის ნაცნობი და მტკივნეული საკითხი იყო, მასაც ხომ სურდა ჰქონოდა საკუთარი სკოლა და ყოფილიყო ისეთი პედაგოგი, რომელიც თავის სურვილებში და ოცნებებში ქონდა წარმოდგენილი, თუმცა ეს ასე არ მოხდა და სწორედ ამიტომ განათლების სისტემა და განსაკუთრებით ქალთა განათლება უზარმაზარ სოციალური პრობლემად წარმოაჩინა მან რომანში „მასწავლებელი“.

როგორც უკვე აღინიშნა, შარლოტა თავადაც პედაგოგი იყო და გასაკვირი არ არის, რომ განათლების საკითხი მის მხატვრულ შემოქმედებაში დიდ ადგილს იკავებს. მისთვის მიუღებელი იყო სწავლის ის უხეში სტილი, რომელსაც იმ დროს მიმართავდნენ, ასევე მიუღებელი იყო ძალთა დისბალანსი სქესებს შორის, ისე როგორც რომანშია გადმოცემული, გოგონების და ბიჭების სკოლების მაგალითზე.

საინტერესო იქნება ერთმანეთს შევადაროთ მესიე პელეს, მადმაზელ რიუტეს და ფრენსისის სკოლები იმისათვის, რომ სკოლების მაგალითზე უკეთ დავინახოთ განსხვავება, როგორც ადამიანურ, ისე საყოველთაო ღირებულებებთან მიმართებაში.

ვაჟების სკოლის დირექტორი - მესიე პელე - ერთი შეხედვით მშვიდი, ლმობიერი და კეთილი ადამიანი ჩანდა, თუმცა ამ ყველაფრის მიღმა, მის სკოლაში აბსოლუტური სიმშვიდე და იდიალეური წესრიგი სუფევდა იმ მრისხანე მზერის ძალით, რომელ მზერასაც დროდადრო მოსწავლეებთან იყენებდა. მესიე პელე თითქოს მეგობრული და სათნო ადამიანი გახლდათ, თუმცა ეს მხოლოდ უილიამის მიმრთ, დირექტორი მუდმივად მკაცრი და ცივი იყო იმ ორი უმცროსი ფლამინდიელი მასწავლებლის მიმართ, რომლებიც უილიამთან ერთად მუშაობდნენ და თითქოს მისგან არაფრით გამოირჩეოდნენ, თუმცა აშკარა იყო ფლამინდიელების მიმართ მისი არაკეთილგანწყობილება, რაც ვფიქრობ მისი ფრანგული წარმომავლობით იყო გამოწვეული.

მესიე პელეს ვაჟთა სკოლაში ერთი შეხედვით სიმშვიდე და წესრიგი იყო, თუმცა ეს სიმშვიდე და წესრიგი მისი მრისხანე მზერის უკან იმალებოდა. ჩანს, რომ სკოლაში არ იყო პედაგოგსა და მოსწავლეს შორის სიყვარული, პატივისცემა და ჰარმონია, ეს იდეალური წესრიგი მხოლოდ შიშის და მრისხანების საფუძველზე იყო დამყარებული. სკოლაში არ არსებობდა კოლეგიალობა და მეგობრული მიდგომები, ჩვეულებრივი მოვლენა იყო მასწავლებელი გაეკიცხათ თუნდაც სადილზე დაგვიანების გამო, რაც უილიამა საკუთარ თავზეც გამოსცადა. „თუკი ვინმე ფლამინდიელი მასწავლებელი სუფრასთან იმ დროს მოვიდოდა, როდესაც პირველი კერძი უკვე დასრულებული იყო, მესიე პელე მას საჯაროდ უცხადებდა საყვედურს. უფრო სწორად, გვარიანად ტუქსავდა და შეიძლებოდა მეორე თავი კეძის გარეშეც დაეტოვებინა“ (ბრონტე 2020: 101).

მეტად საინტერესოა ის ფაქტი რომ, მესიე პელემ უილიამს დაუმალა მისი და მადმაზელ რიუტეს ურთიერთობა. უილიამს ისე გამოკითხა მადმაზელ რიუტეს შესახებ, თითქოს თავად არ იცნობდა და მისი პიროვნება აინტერესებდა, თუმცა მესიე პელე მოკლე პერიოდში მადმაზელ რიუტეზე ქორწინებას აპირებდა. ამ შემთხვევაში კარგად ჩანს მესიე პელეს უნდობლობა უილიამის მიმართ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ეს იყო მესიე პელესგან პირველი გამოცდა, რომელიც უილიამს ჩაუტარა იმის გასარკვევად, თუ რამდენად კარგად გაართმევდა თავს იგი მოსწავლეების წინაშე ახალ გამოწვევას, როგორ მოახერხებდა თავადაც გამოუცდელი ახალგაზრდა მამაკაცი თითქმის თანატოლი ასაკის ყმაწვილებთან მუშაობას, როგორი სტილით მართავდა კლასებს და სხვა. თუმცა აშკარა იყო, რომ უილიამმა არათუ კარგად გაართვა თავი მოცემულ სიტუაციას, არამედ თავისი უპირატესობები დაანახა მოსწავლეებს, რაც სამომავლოდ მას ძალიან დაეხმარა.

მადმაზელ რიუტეს პანსიონი იყო, ადგილი სადაც სწავლობდნენ გოგონები, ამ პანსიონში გახლდათ უილიამის ის საოცნეო ბაღი, საიდანაც ყოველ საღამოს ესმოდა ჩიტებივით მოჟღურტულე ქალიშვილების ხმა, თუმცა აჭედილი დარაბის გამო მათი ხილვა არ შეეძლო.

ერთი შეხედვით, სკოლაში ყველაფერი რიგზე იყო, კოხტად მოპირკეთებული მისაღები, კლასები და დერეფნები ამშვენებდა პანსიონს. მადმუაზელ რიუტეც მეტად სასიამოვნო და თავაზიანი ადამიანი ჩანდა, თუმცა მისი არასწორი დამოკიდებულება სკოლის, პედაგოგებისა და მოსწავლეების მიმართ თვიდანვე გამოჩნდა, როდესაც ერთპიროვნულად მიიღო გადწყვეტილება სკოლაში აეყვანა ახალგაზრდა ყმაწვილი პედაგოგი, მაშინ როდესაც ამბობდა, რომ შესაძლოა, ეს ამბავი გოგონების მშობლებს არ მოწონებოდათ.

„- მაგრამ ხშირად საკუთარი გულის კარნახით მოქმედება უფრო მართებულია,-აღნიშნა მან,- მშობლები თავად უნდა მართო,მათ ჭკუაზე არ უნდა გაიარო. ვარგისიანობა მასწავლებლისა მის ასაკზე როდია დამოკიდებული. იმის მიხედვით, რაც მსმენია და რაც საკუთარი თვალით მინახავს, თქვენ უფრო ბევრ რამეს მოგანდობდით, ვიდრე მუსიკის მასწავლებელს, რომელიც ცოლიანიც არის და ორმოცდაათსაც უკაკუნებს“ (ბრონტე 2020: 87).

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ უილიამს ისედაც დიდი პასუხისმგებლობა გაუასმაგდა და ასეთი ნდობის გამართლება კიდევ უფრო მოუნდა, რადგან ასეთ საქმეს ნამდვილად ღალატი არ შვნოდა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ჩანს, რომ მადმუაზელ რიუტეს ერთპიროვნული მმართველობა ქონდა დამყარებული სკოლაში. იგი განაგებდა ყველაფერს, ზემოქმედების ქვეშ აქცევდა ყველა მასთან მომუშავე ადამიანს და ყველაფერს ყველასთან შეუთანხმებლად წყვეტდა. მისთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ საკუთარი პრინციპებისა და სურვილების

ასრულება იყო, რისთვისაც არც ძალას და არც ენერგიას არ იშურებდა. თავდაპირველად უილიამი მოიხიბლა ქალბატონის პრაქტიკულობით და საქმიანი სტილით, უილიამი იმასაც კი იქრობდა, რომ იგი ძალიან ლიბერალი და მიუკერძოებელი ხასიათის ქალბატონი გახლდათ, თუმცა იგი მალევე მიხვდა, როგორ ცბიერ ადამაინთან ქონდა საქმე და მუდმივად ცდილობდა მისგან თავი შორს დაეჭირა.

სკოლის განაწესის მიხედვით მადმუაზელ რიუტეს პანსიონში თანაკლასელების ახლო მეგობრობა იკრძალებოდა, ამიტომ მათ მხოლოდ იმ დონის ურთიერთობა ქონდათ, რაც მთელი დღის განმავლობაში საშინელ მარტოობის შეგრძნებას ჩაუკლავდა. ასეთი მანკიერი აზრებით იყო სავსე საბრალო გოგონების ცხოვრება, მათ არაფერი სმენოდათ ნამდვილ მეგობრობაზე, ადამიანურ წრფელ ურთიერთობებზე და ურთიერტპატივისცემაზე, რომელიც თანაკლასელებს შესაძლო იყო ერთმანეთის მიმართ ქონოდათ.

გოგონათა პანსიონში სხვადასხვა ჯურის მასწავლებელი მუშაობდნენ, მაგრამ მადმუაზელ რიუტეს ყველა თავის ზეგავლენის ქვეშ ყავდა მოქცეული. რაც შეეხებოდა უილიამს, მას თავდაპირველად აკვირდებოდა და სურდა მასზეც შთაბეჭდილების მოხდენა, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. უილიამი მალევე მიხვდა ქალბატონი დირექტრისას მზაკვრულ გეგმას და ამჯობინა მისგან თავი შორს დაეჭირა.

უილიამმა სკოლაში მისვლისთანავე მუშაობისა და მოსწავლეებთან მიდგომის საკუთარი მეთოდი შეიმუშავა. როგორც აღინიშნა, მან თავიდანვე დაანახა მოსწავლეებს თავისი უპირატესობა და ძალა, რათა შემდგომ თავიდან აეცილებინა მოსწავლეებთან რაიმე სახის უხერხულობა. მისი გამჭრიახობა კარგად ჩანს მონაკვეთში, როდესაც ახალბედა მასწავლებელს დირექტორმა მესიე პალემ მოსწავლეების ცოდნის შემოწმება შესთავაზა, და თან ამ გზით თავად უილიამის გამოცდა მოინდომა.

„როდესაც კლასების შემოვლას ვამთავრებდით მესიე პელე მომიბრუნდა :

_ხომ არ ინებებთ ინგლისურ ენაში ბიჭების ცოდნის შემოწმებას?

ეს შემოთავაზება მოულოდნელი იყო. გავიფიქრე სამი დღე მაინც მოეცა მოსამზადებლად-მეთქი, მაგრამ, ნათქვამია, ყოყმანით საქმის დაწყება ცუდის ნიშანიაო, ამიტომაც უახლოეს კათედრასთან მივედი და ჩემი მოწაფეებისკენ სახით დავდექი. აზრების მოსაკრებად რამდენიმე წამმა იკმარა, მერე შესავალი წინადადება ფრანგულად შეძლებისდაგვარად სწორად დავაწყვე და წარმოვთქვი:

“-Messieurs,prenez vos livers de lecture“[3]

“-Anglais ou Francais ,Monsieur?“ [4] – მკითხა პუტკუნა პირბადრმა ბიჭმა. პასუხი საბედნიეროდ იოლი იყო.

“-Anglas.“[5]

მაშინვე გადავწყვიტე, აუტკივარი თავი არ უნდა ავიტკივო-მეთქი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ნაკლები უნდა მელაპარაკა, რადგან ფრანგულად ენა გატეხილი არ მქონდა, ინგლისური კილოთი საუბარი კი ნორჩ მსმენელებში, ალბათ ოდენ კრიტიკულ დამოიდებულებას გამოიწვევდა. ამიტომ უმჯობესი იყო, თავიდანვე უფროსის პოზიცია დამეკავებინა და შემენარჩუნებინა კიდეც“ (ბრონტე 2020: 68-69).

უილიამის კლასების მართვის ასეთი სტილი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ბრიუსელის სკოლებში მოსწავლეების აჯანყების ფაქტები ხშირი იყო, რაზეც უილიამმა კარგად იცოდა, მოსწავლეების ხასიათზე დაკვირვებით და ვაჟების სკოლის დირექტორის ზეგავლენით უილიამმა ზუსტად დაიჭირა ის თამასა, რომლითაც იდეალურად უძღვებოდა კლასს, თუმცა ეს არ იყო რაიმე სახის უხეში მიდგომა ან მოსწავლეების დაკნინება. არა, უილიამი მათ

[3] (ფრ.) ბატონებო მოამზადეთ საკითხავი წიგნები.
[4] (ფრ.) ინგლისურად თუ ფრანგულად, მესიე?
[5] (ფრ.) ინგლისურად

გაწონასწორებული და თავაზიანი მიმართვებით იმორჩილებდა, როდესაც საჭირო იყო სიმკაცრითაც გამოირჩეოდა.

საინტერესოა ის ფაქტი რომ, ბელგიურ სკოლებში საგაკვეთილო პროცესს ესწრებოდა ზედამხედველი, რომელიც გაკვეთილის მსვლელობისას იმყოფებოდა საკლასო ოთახში და აწარმოებდა დაკვირვებას. ეს აიძულებდა მოსწავლეებს არ დაერღვიათ წესრიგი, მასწავლებელი კი არ მოდუნებულიყო და მუდმივად კონცენტრირებული ყოფილიყო გაკვეთილის თემაზე, თუმცა, რთულია იმის თქმა, რომ ეს ხერხი ამაღლებდა მასწავლებლის პროფესიონალიზმის ან მოსწავლეების სწავლის სურვილს აძლიერებდა. შესაძლოა, ამგავრი ხერხით მოსწავლეებსა და მასწავლეებლს შორის უფრო დიდი კედელი აღიმართებოდა, რადგან ზედამხედველის მუდმივი კონტროლი უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მათ ქმედითუნარანობაზე და არ აძლევდა მასწავლებელსა და მოსწავლეებს უფრო დაახლოების საშუალებას.

სწავლის ასეთი ფორმები და მეთოდები ისეთივე მიუღებელი იყო შარლოტასთვის, როგორც მისი რომანის გმირი უილიამისთვის, სწორედ ამიტომ მოგვიანებით იგი გვაჩვენებს ბელგიური სკოლების საპირისპიროდ ფრენსისის, უილიამის მეუღლის სკოლას, სადაც ფრენსისის, როგორც დირექტორის, დამოკიდებულება მოსწავლეებთან სრულიად განსხვავებულია მადმუაზელ რიუტეს მიდგომებისგან.

სკოლას მადამ დირექტრისა ფრენსისი მართავდა, იგი ყოველთის ელეგანტური და დარბაისელი ქალის იერს ტოვებდა, რომელიც მუდამ ბავშვების კეთილდღეობაზე ფიქრით იყო დაკავებული. თუკი გაკვეთილი არ ქონდა, გოგონებისათვის თვალყურის დევნებით იყო დაკავებული, ერთი ჟესტიც კი საკმარისი იყო, რომ მის გარშემო სრულ იდილიას დაესადგურებინა, როდესაც გაკვეთილს ხსნიდა, ეტყობოდა, რომ ეს საქმე ძალაინ სიამოვნებდა და უყვარდა. გაკვეთილზე არასოდეს იყენებდა მშრალ სიტყვებს და ყოველთვის ცდილობდა რუტინული ქმედებებისგან თავი

აერიდებინა. ყველასათვის ადვილი შესამჩნევი იყო, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის საოცარი სიყვარული სუფევდა, თავად ფრენსისი კი ყველას თანასწორუფლებიანად და პატივისცემით ეპყრობოდა, ამავდროულად მისთვის სამართლაინობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო და თუ მოსწავლესათან თბილი სიტვით შედეგს ვერ მიაღწევდა, არც მრისხანებას ივიწყებდა, რასაც უმალ მთელ კლასს სიმშვიდეს ჰგვრიდა. თანადგომა მისი ერთ-ერთი საუკეთესო თვისება იყო, ობოლ და ღატაკ ბავშვებს სიკეთის ფრთას აფარებდა, საღამოობით მათ საწოლებთან მიდიოდა და საკუთარი შვილებივით საბანს უსწორებდა, მათთვის არც კოცნას და მოფერებას იშურებდა.

ბელგიურ სკოლებსა და ფრენსისის სკოლას შორის განსხვავება საკმაოდ დიდია, აღზრდის, სწავლისა და ადამიანური ურთიერთობების ფასი ყველასთვის სხვადასხვაგვარია, განსხვავებით მადმუაზელ რიუტესგან ფრენსისს ეს სკოლა საკუთარი ოჯახივით უყვარდა და ისე ექცეოდა მოსწავლებს, როგორც საკუთარ შვილებს მოექცეოდა. ამგავრი ორი რადიკალური აღწერილობიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ფრენსისის სკოლის სახით ბრონტემ გადმოგვცა მისთვის სასურველი სკოლის სახე, სადაც თვითონ იქნებოდა ფრენსისის ადგილას, ისევე თავაზიანად და სამართლაიანდ მოექცეოდა გარშემო ყველას, როგორც ამას ფრენსისი აკეთებდა და ისეთივე სასურველი პედაგოგი იქნებოდა, როგორც ფრენსისი გახლდათ.

დასკვნა

შარლოტა ბრონტე არის კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი, იგი ქმნის რეალისტურ ტექსტებს და ეხმიანება თავისი ეპოქის მწვავე პრობლემებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე აწუხებდა საზოგადოებას.

ბრონტეს რომანი „მასწავლებელი“ არის რეალისტური ნაწარმოები, რომელიც გადმოგვცემს ევროპის სინამდვილეს და აშუქებს უმთავრეს საკითხებს, რაც მწერლის თანამედროვე საზოგადოებისთვის იყო დამახასიათებელი. მის მიერ შექმნილი პერსონაჟები არიან ძლიერი, გულწრფელი და ჭკვიანი ადამიანები. მათი ისტორიები დამაჯერებელი, ამაღელვებელი და ორიგინალურია.

რომანი „მასწავლებელი“ ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, რადგან მასში აისახა მწერლის ბელგიაში ყოფნის პერიოდი და შთაბეჭდილებები. ნაწარმოებს საფუძვლად დაედო ბრონტეს მიერ ბრიუსელში მიღებული გამოცდილება, სადაც ის კონსტანტინე ჰეგერის გოგონათა სკოლაში ერთხანს მასწავლებლად მუშაობდა.

რომანში შ. ბრონტე ნათლად გვაჩვენებს ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერ მხარეებს, დასმულია არაერთი მწვავე პრობლემა, რომელთაც ავტორი თავისი დროის საზოგადოების ნაკლად მიიჩნევს: სოციალური უთანასწორობა, ეროვნული და რელიგიური ნიშნით ადამიანების

მიუღებლობა, ქალთა დაკნინებული მდგომარეობა, აღზრდა-განათლების მოძველებული სისტემა და მეთოდები.

შესაბამისად, გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: **ოჯახი და საზოგადოება, სნობური ნაციონალიზმი, ანტიკათოლიციზმი, გენდერული საკითხი, სკოლა და განათლება.**

ოჯახი და საზოგადოება - ბურჟუაზიული საზოგადოების უმთავრესი ნაკლი რეალისტი მწერლის პოზიციით, არის სოციალური უთანასწორობა, ანტაგონისტური დამოკიდებულება პრივილეგირებულ და დაბალ ფენებს შორს, დაბალი კლასის დუხჭირი ყოფა, უმუშევრობა, შიმშილი და გაურკვეველი მომავალი. მწერლის თანამედროვე ევროპული საზოგადოების მთავარ ორიენტირს ფული და ძალაუფლება წარმოადგენს. ფული და მდგომარეობა ნათესაურ, დედამამიშვილურ ურთიერთობებსაც კი სახეს უცვლის და ყველაფერ ხელშეუხებელს, ამაღლებულსა და წმინდას ტალახში სვრის.

ობლად გაზრდილი, ოჯახურ სითბოს მოწყურებული უილიამის წლების უნახავ ძმასთან შეხვედრა დედმამიშვილური, თბილი გრძნობების გაღვივების ნაცვლად მხოლოდ დამქირავებლისა და ხელქვეევითის ურთიერთობის სახეს იღებს. ფაბრიკანტ ქრიმსვორთს თავისი უქონელი, მაგრამ გონიერი და შრომისმოყვარე ძმა კონკურენციის გრძნობას აღუძრავს და მისადმი მტრულ დამოკიდებულებას კიდევ უფრო ამძაფრებს, რაც ურთიერთობის სრულ გაწყვეტამდე მიდის.

ანგარება და სარგებელის მიღების სურვილი ამ საზოგადოებაში სიყვარულსა და მეგობრობასაც მოჩვენებითსა და ყალბს ხდის. ამის დასტურია პელე-რიუტეს სიყვარული და ქორწინება, ასევე პელესა და უილიამს შორის აღმოცენებული მყიფე მეგობრობა. საბედნიეროდ, მწერალი ჭეშმარიტი სიყვარულისა და მეგობრობის მაგალითებსაც იძლევა.

სნობური ნაციონალიზმი - თვალიშსაცემია ადამიანების ეროვნული ნიშნით გამორჩევა. ბრიტანეთიდან ჩამოსული ინგლისელი მოსწავლეები ქედმაღლურად ეპყრობიან ფლამინდიელ თანატოლებს. ვაჟთა სკოლის ორი ბელგიელი მასწავლებლის მიმართ დირექტორი, წარმოშობით ფრანგი, მესიე პელე დაუფარავ ზიზღს ამჟღავნებს და მათი დამცირების შანსს ხელიდან არ უშვებს. მთავარი გმირიც კი არ არის თავისუფალი ამ გრძნობისგან, ფლამინდიელებს მედიდურად უყურებს, რადგან გულის სიღრმეში თვლის, რომ ბელგია უწესრიგო ქვეყანაა და თავად ბელგიელები დიდად არ გამოირჩევიან კეთილგონიერებით.

ანტიკათოლიციზმი - ჩანს ანგლიკანური რელიგიის აღმატებულება კათოლიკურთან მიმართებაში. ამ ნიადაგზე პრესონაჟთა დადებით და უარყოფით გმირებად დაყოფაც კი შეიძლება. სკოლის მოსწავლეებზე დაკვირვებით უილიამი მიდის დასკვნამდე, რომ პროტესტანტ ინგლისელ გოგონებთან ახლოს ვერ მოვლენ აღზრდითა და მორალური თვისებებით ბელგიელი კათოლიკე გოგონები. ასევე ჩუმ-ჩუმა და მანიპულატორი ზორაიდე როიტერი კათოლიკეა, ხოლო მშვიდი, პატიოსანი ფრენსისი პროტესტანტი (და ნახევრად ინგლისელი).

გენდერული საკითხი - მაშინ, როდესაც ქალები მხოლოდ შთამომავლობის გამგრძელებლად და დიასახლისებად ითვლებოდნენ, შარლოტა ბრონტე თავისი მწერლობით შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდა ამ მოსაზრებას. მისი რომანები ბევრს ამბობს დაჩაგრული ქალების ცხოვრებაზე. რომანში ,,მასწავლებელი“ ბრონტე ქალი პერსონაჟების სახით გადმოგვცემს თავის შეხედულებას ქალთა სქესის იმდროინდელ მდგომარეობაზე. გოგონათა სკოლის დირექტორია პირველი სახე იმ ადამიანებისა, ვინც ანგარებაზე აგებს საკუთარ ცხოვრებას, მეორე კი ფრენსის ანრია, რომელიც ბევრი ბრძოლისა და დაუღალავი შრომის შედეგად აღწევს საწადელს, იწყობს კარიერას და ხდება წარმატებული.

სკოლა და განათლება - შარლოტა თავადაც პედაგოგი იყო და გასაკვირი არ არის, რომ განათლების საკითხი მის მხატვრულ შემოქმედებაში დიდ ადგილს იკავებს. სკოლა და აღზრდა-განათლება ავტორისთვის ნაცნობი და მტკივნეული თემაა. რომანში სკოლის ორ ტიპს წარმოგვიდგენს. ბელგიური ვაჟთა და ქალთა სკოლების საპირისპიროდ ხატავს თვისობრივად ახალ სკოლას, რომელსაც ფრენსისი აყალიბებს.

ბელგიურ სკოლებში არსებული ზედამხედველის ინსტიტუტი, კონტროლისა და მართვის ერთგვარი მექანიზმი და არასათანადო სწავლის მეთოდები, ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სრულყოფილ განათლების შეთავაზებას. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ხშირ შემთხვევაში არ არის კეთილგანწყობა. მასწავლებლებს უწევთ ძალისხმევის გაწევა კლასში წესრიგის შესანარჩუნებლად. ამ სკოლებში მოსწავლეებს შორისაც კი ვერ მყარდება მეგობრული ურთიერთობა.

სრულიად სხვა გარემოა შექმნილი ფრენსისის სკოლაში. მისი, როგორც დირექტორის, დამოკიდებულება მოსწავლეებთან მეგობრული და უშუალოა. განსხვავებულია თავად მოსწავლეებს შორის დამოკიდებულებაც. ფრენსისის სკოლის სახით ბრონტემ წარმოადგინა მისთვის სასურველი სკოლის მოდელი.

ამრიგად, შ. ბრონტეს რომანი „მასწავლებელი“ მე-19 საუკუნის საზოგადოების ცხოვრების რეალურ სურათებს იძლევა. როგორც ჭეშმარიტი რეალისტი, მწერალი თვალს უსწორებს მანკიერებებს და სააშკარაოზე გამოაქვს. მის უკომპრომისობასა და პირუთვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ რომანის მთავრი გმირი უილიამ ქრიმსვორთი არ არის ცალსახად მხოლოდ დადებითი თვისებების მატარებელი, ისიც ექცევა საზოგადოებაში დამკვიდრებული მავნე სტერეოტიპების გავლენის ქვეშ. მწერლის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ იგი პრობლემების გადაჭრის გზებსაც გვთავაზობს, რაც ნაწარმოებს ოპტიმისტურ განწყობას სძენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბრონტე 2020:** ბრონტე შ. *მასწავლებელი.* თბილისი: გამომცემლობა ,,პალიტრა L'', 2020.
2. **გაფრინდაშვილი... 2008:** გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ. *ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები,* თბილისი: გამომცემლობა ,,ინოვაცია'', 2008.
3. **ელიზაროვა... 1973:** ელიზაროვა მ.ე., გიჟადეუ ს.პ., კოლესნიკოვი ბ.ი., მიხალსკაია ნ.პ. *XIX საუკუნის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია.* თბილისი: გამომცემლობა ,,განათლება'', 1973.
4. Jones, Phyllis K. The Religious Beliefs Of Charlotte Bronte¨, as Reflected in Her Novels And Letters <http://oro.open.ac.uk/19036/>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.07.2021]
5. Education in the novels of Anne and Charlotte Bronte <https://ir.canterbury.ac.nz/bitstream/handle/10092/7116/shave_thesis.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 6.03.2001]
6. რეხვიაშვილი: რეხვიაშვილი ა. ფემინიზმი <http://dictionary.css.ge/content/feminism>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -2016]
7. Charlotte Brontë Biography<https://www.sparknotes.com/author/charlotte-bronte/>, [უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 19.07.2021]
8. Charlotte Bronte: Poems Themes < https://www.gradesaver.com/charlotte-bronte-poems/study-guide/themes>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.07.2021]
9. Kita Marie W. THEMES AND CHARACTERS IN CHARLOTTE BRONTË'S NOVELS < https://womynews.wordpress.com/2013/07/25/themes-and-

characters-in-charlotte-brontes-novels/ >, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -25.07.2013]
10. The Brontës in Brussels < https://www.thebrusselsbrontegroup.org/the-brontes-in-brussels/>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 18.07.2021]
11. Plot Summary < https://sites.google.com/site/theprofessorvictorianlit/plot-summary>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.07.2021]
12. Social Inequality in "Jane Eyre" by Charlotte Bronte Essay <https://ivypanda.com/essays/social-inequality-in-jane-eyre-by-charlotte-bronte/>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -18.07.2020]
13. Unpublished Charlotte Bronte works 'to join UK collection' <https://www.bbc.com/news/entertainment-arts-34797461>, [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.10.2015]